საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 2013 წელი.

№183 (7310)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ამხელ საპატიოლი — რესელი პროექტი

3

დაუყოვნებლივ შეჩერდეს საოკუპაციო ჯარების უკანონო ქმედებები!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს რუსეთის საოკუპაციო ჯარის უკანონო ქმედებებს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ.

მისი შეფასებით, აღნიშნული ქმედებით რუსეთი უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს.

— გორის რაიონის სოფელ დიცში მავთულხლართებისა და ღობეების დამონტაჟების პროცესის განახლების შემდეგ, 2013 წლის 22 სექტემბრიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა ინტენსიურად გააგრძელეს თავისი უკანონო ქმედებები ქარელის რაიონის სოფელ დვანში. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ მოკლებულია საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე შესვლისა და საქმიანობის წარმოების უფლებას. საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდების მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია კვლავ უხეშად არღვევს ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, თავისუფალი გადაადგილების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და სხვა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა შეშფოთებას გამოხატავს იმ ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებებით და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი, როგორც ოკუპანტი ქვეყანა, რომლის საოკუპაციო ჯარები უკანონოდ იმყოფებიან საქართველოში მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში და რომელიც ეფექტურად იყენებს კონტროლის ბერკეტებს საქართველოს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში, საერთაშორისო სამართლის თანახმად ვალდებულია, შეწყვიტოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, — ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო პარტნიორ ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, მიიღონ სათანადო და ეფექტური ზომები, რათა დაუყოვნებლივ შეჩერდეს რუსეთის საოკუპაციო ჯარის უკანონო ქმედებები საქართველოს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ.

მთავარი მეოცნების პოლიტიკური სცენიდან წასვლის სავარაუდო მიზეზები

5

თბილისელი კარლსონები და პორტუგალიელი ფრენკენ ბოკი

9

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „ევრაზიის რეგიონის“ სტატუსს ანიჭებენ?

8

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაზღვრა, რა არის „კარგი“ და რა არის „ცუდი“

რუსული „ჭრა-კერვა“

დუგინმა სამეგრელოსა და ჯავახეთის მომავალი „განჭვრიტა“

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ᲛᲘᲚᲔᲒᲐ

ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲠᲐᲡ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲔᲜ!

ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ „ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ“ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲛᲐ 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲚᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲨᲔᲔᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ.

— ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲮᲐᲖᲘ ᲒᲐᲕᲣᲡᲕᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲘᲛᲔᲓᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲠᲝᲠᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐᲜ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲓᲘᲪᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐᲪ ᲘᲥ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐᲗ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲗᲐᲜᲮᲛᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

„ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ“ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ �გᲣᲜᲐᲠ ᲰᲝᲙᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ.

— ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲔᲕᲠᲝᲠᲝᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲪ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲮᲐᲖᲘ ᲒᲐᲕᲣᲡᲕᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲣᲮᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲦᲥᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲚᲔᲑᲐᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲐᲘᲪᲘᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲒᲕᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲬᲘᲜ ᲕᲬᲔᲕᲗ ᲐᲛ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲔᲑᲡ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ �გᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲒᲣᲜᲐᲠ ᲰᲝᲙᲛᲐᲠᲙᲘᲛ.

ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ „ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ„ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ ᲔᲣᲗᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲝ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲔᲝ ᲛᲔᲙᲐᲩᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ.

◎ ᲐᲥᲪᲘᲐ

„ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲜ!“

ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲣᲐᲠᲘᲡᲐᲮᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲑᲓᲐ.

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲘᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ.

ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ 22 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲔᲜ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲜᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲗᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲧᲝᲚᲑᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ.

— ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲜ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ �გᲝᲩᲐ ᲑᲐᲮᲘᲐᲛ.

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲝᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ.

ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ 22 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲔᲜ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲜᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲯᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲧᲝᲚᲑᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ.

— ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲜ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ ᲒᲝᲩᲐ ᲑᲐᲮᲘᲐᲛ.

ᲠᲝᲗᲝᲠᲪ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ.

◎ ᲒᲐᲠᲚᲕᲔᲕᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ 34 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲡ. „ᲠᲝᲡᲞᲝᲢᲠᲔᲑᲜᲐᲓᲖᲝᲠᲘᲡ“ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲕᲔᲑᲒᲠᲕᲔᲓᲖᲔ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲠᲣᲡᲛᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲛᲐ 16-ᲓᲐᲜ 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲕᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ 41 ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ, ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

— ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚ 31 ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐ, ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲐᲓ, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ 95 ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲖᲔ, ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚ ᲔᲠᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲖᲔ გაიცა. ᲠᲣᲡᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ 11 ᲓᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲡ.

„ᲠᲝᲡᲞᲝᲢᲠᲔᲑᲜᲐᲓᲖᲝᲠᲘᲡ„ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, 2013 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ 22 ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ 1529 ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲯᲐᲛᲣᲠᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ 5 334 782 ᲚᲘᲢᲠᲘᲐ.

2013 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ-ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ ᲙᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ „ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ“ 77 ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ 8 214 605 ᲚᲘᲢᲠᲘ ᲓᲐ „ᲡᲐᲘᲠᲛᲘᲡ“ 8 ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ 170 496 ᲚᲘᲢᲠᲘ.

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ

● ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲮᲐᲗᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ:

1. ᲮᲐᲗᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲠᲩᲔᲕᲗ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ
2. ᲮᲐᲗᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲪᲐᲜᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲡ
3. ᲮᲐᲗᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲠᲗ ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐᲨᲘ
4. ᲮᲐᲗᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲠᲩᲔᲕᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ

ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ:

ᲘᲛᲘᲡ ᲮᲐᲗᲠᲘᲗ ᲛᲝᲛᲔ ᲠᲐᲐᲐᲐ!!!

● NDI-Ს ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲨᲘ 44 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ �თქვა, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲐ, ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲛᲓᲔᲜᲘᲕᲔᲛ �თქვა, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲜᲔᲢᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲒᲘᲟᲔᲗᲘᲐ?

● ᲔᲠᲗᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ �გᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ �თუ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲘᲕᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲗᲑᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲝ. ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲔᲡᲔᲗᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲛ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲮᲔᲓᲕᲐᲠᲔ.

● ᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲕᲘᲠᲩᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲜᲣᲠᲐᲕᲘᲜ ᲩᲐᲔᲠᲔᲕᲐ ᲩᲔᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ (ᲗᲣᲗᲐᲨᲮᲘᲐᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ).

● ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲟᲝᲚᲝᲡ ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲘᲗ.

● ᲘᲡᲔ ᲠᲐᲛᲔ ᲠᲝ ᲘᲧᲝᲡ, 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘ ᲐᲒᲕᲔᲠᲩᲘᲐ ᲐᲠᲐ?

● ᲯᲔᲠ ᲡᲐᲓᲐ ᲮᲐᲠᲗ! ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲡ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲔᲜᲗ:

ᲯᲔᲠ „ᲣᲪᲜᲝᲑᲛᲐ“ ᲛᲘᲣᲛᲚᲔᲠᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, — ᲒᲐᲜᲓᲝᲑ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠᲠᲝ, ᲐᲮᲚᲐ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲘᲡ, - ᲛᲐᲠᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲐᲜᲓᲝᲑ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲝ...

ᲩᲕᲔᲜᲪ ᲐᲥᲐ ᲕᲐᲠᲗ — ᲣᲑᲠᲐᲚ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲠᲣᲡᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ აგენტოფობია ყველასათვის ცნობილია. მისი მმართველობის წლებში შევეჩვიეთ, რომ რუსეთის რამდენიმე აგენტი აუცილებლად უნდა გამოევლინათ და ეს წინა ხელისუფლებისთვის უკვე პარანოიამდე დასულ ნორმად იქცა. „აგენტებს“ ეძებდნენ ყველგან და, როცა მათ ვერ მოიხელთებდნენ, შეთხზულ ისტორიებს გვასმენინებდნენ მათ შესახებ. თუმცა ჩვენს საზოგადოებაში იმთავითვე მსჯელობდნენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთს გადასცა. ყველაზე აქტუალური კი ენგურჰესის თემა იყო, რომელიც აგვისტოს ომიდან ორსამ კვირაში საქართველოს მთავრობამ საიდუმლო ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთს გადასცა. ეს მაშინ, როცა არ შეიძლებოდა ქვეყნის სტრატეგიული ობიექტის გასხვისების შესახებ ინფორმაცია ტაბუდადებული ყოფილიყო. სხვათა შორის, ამის შესახებ არც ამერიკის მაშინდელი ელჩი ჯონ ტეფტი იყო საქმის კურსში, არადა, თითქოს სააკაშვილი ამერიკელების ნდობით აღსავსე პიროვნება იყო.

ჩრდილოელი მეზობლისთვის ეკონომიკური ბერკეტების გადაცემასთან ერთად, რუსეთმა საჩუქრად მიიღო სამაჩაბლოსა და კოდორის ხეობის ძირძველი ქართული ტერიტორიები, რასაც არაერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

რეალურად, არის თუ არა სააკაშვილი რუსული პროექტი და ახორციელებს თუ არა საქართველოში რუსულ ინტერესებს? ამის შესახებ ექსპერტებს განსხვავებული პოზიცია აქვთ.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი ვერ ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილი კლასიკური რუსული პროექტია და რუსეთზე მუშაობს, თუმცა მიიჩნევს, რომ ის ნამდვილად არის ე.წ. გავლენის აგენტი, რომელმაც, შესაძლოა, თვითონაც არ იცის, ისე მუშაობს რუსეთის ინტერესებისთვის. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი არსებობს როგორც ეკონომიკაში, ისე – პოლიტიკაში. გია ხუხაშვილი, განსაკუთრებით, 2008 წლის მოვლენებს იხსენებს, როცა ვერც ერთი აგენტი ვერ გაუკეთებდა რუსეთს ისეთ საჩუქარს, როგორიც გაუკეთა სააკაშვილმა იმ ტრაგიკული მოვლენების დროს.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ ფიქრობს, რომ სააკაშვილი თუნდაც ბიძამისის ან რუსული ინტერესების გამტარებელი სხვა ადამიანების მეშვეობით რუსეთის მხრიდან ირიბად იყო მართული და მას ამა თუ იმ ქმედებისა თუ გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებდნენ. ამას კი, საბოლოო ჯამში, მოჰყვებოდა რუსული ინტერესების გატარება.

„ჩემი საფუძვლიანი ეჭვით, ის არ იყო პირდაპირ რუსეთის ხელისუფლებისგან დაქირავებული, მაგრამ მის ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენდნენ ადამიანები, რომლებიც რუსეთზე მუშაობდნენ. რუსეთისთვის მიშა საჩუქარი იყო. შესაძლოა, ის თავისი ცნობიერებით ანტირუსადაც ჩავთვალოთ, მაგრამ ზუსტად ასეთი ადამიანები ხშირად უკეთესად არიან გამოყენებულნი. საკუთარი ინტერესებისთვის მტრის გამოყენება, თუკი ის არაადეკვატურია და აშლილი ფსიქიკა აქვს, ხშირ შემთხვევაში, უკეთესად შეიძლება, ვიდრე მოყვარის. ზუსტად სააკაშვილის აშლილი ფსიქიკით და ადვილად მართვადობით კარგად სარგებლობდა რუსეთი თავისი ჯაშუშური ქსელის მეშვეობით“, – აცხადებს გია ხუხაშვილი და მიიჩნევს, რომ ცალკე კვლევის საგანია, თუ ვინ იყო გაერთიანებული ამ ჯაშუშურ ქსელში, ბიძამისი – თემურ ალასანია, კახა ბენდუქიძე თუ კიდევ სხვები.

ამასთან, გია ხუხაშვილის აზრით, დღემდე გრძელდება ეს სიმპტომები და სააკაშვილის მართვა რუსეთის მხრიდან, რადგან, ერთი მხრივ, რუსეთი ამტკიცებს, რომ მას სურს საქართველოში ადეკვატური ხელისუფლება, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ასე არ უნდა იყოს და მათთვის ბევრად უფრო კომფორტული იყო ე.წ. ანტირუსი სააკაშვილი, რომელსაც ადვილად უბიძგებდნენ შეცდომებისკენ. სწორედ ამით ხსნის გია ხუხაშვილი ცხინვალის რეგიონის სასაზღვრო ზოლში შექმნილ გაუგებრობას, რაც ლოგიკაში არ ჯდება, თუკი რუსებს მართლაც სურთ დღევანდელ ხელისუფლებასთან საუბარი.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი მიიჩნევს, რომ ამ წინასაარჩევნო პერიოდში რუსები ხელოვნურად ძაბავენ ვითარებას და ჩნდება გარკვეული კითხვები. შესაძლოა, ეს მთლიანად რუსული ხელისუფლების პოლიტიკა არ იყოს, მაგრამ რუსეთში არიან ისეთი ძალებიც, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებაში უფრო მეტ საფრთხეს ხედავენ, ვიდრე ძველ ხელისუფლებაში, რომელიც მათთვის არაადეკვატური მტერი იყო.

ექსპერტი ვახტანგ მაისაია დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილი რუსული პროექტია. ამის დასტურად ექსპერტს უამრავი შემთხვევა ახსენდება. კერძოდ, მისი თქმით, რატომღაც არავინ ამახვილებს ყურადღებას, რომ მიხეილ სააკაშვილმა ოფიციალურად დააპატიმრა ადამიანები და მათ მიუსაჯა ნატოს ჯაშუშობა. საუბარია პირადად მასზე და ნატოს სტრუქტურებში მომუშავე კიდევ ორ პიროვნებაზე. ამდენად, ადამიანი „ნატოს ჯაშუშს“ რომ დაიჭერს, ამით ყველაფერი ნათქვამია.

გარდა ამისა, ვახტანგ მაისაია გამოარჩევს მუხროვანის ამბოხების დროს დაპატიმრებულ სამხედროებს, რომლებიც ცხინვალის რეგიონში უშუალოდ ეკვეთებოდნენ რუს ოკუპანტებს. ასევე, გენერალ კობა კობალაძის დაპატიმრების ფაქტს, რომელმაც ქართულ სამხედრო ისტორიაში პირველად დაამარცხა რუსები და მათ შენაერთებს მოუგო ომი. კერძოდ, კობალაძემ კოდორის ხეობაში რუსეთის დესანტი ალყაში მოაქცია და გააქცია.

„საყურადღებოა სააკაშვილის გარემოცვაც - ვანო მერაბიშვილის პრორუსული მიმართულება პირდაპირ დადასტურებული ფაქტია. მისი კონტაქტები ბელორუსიის უშიშროების საბჭოს მდივანთან, შეიმანთან... გარდა ამისა, მერაბიშვილი 19 აპრილს გარბოდა სომხეთში მაისურაძის სახელზე გაყალბებული პასპორტით. რატომ გარბოდა მაინცდამაინც სომხეთში და არა, ვთქვათ, თურქეთში ან დასავლეთის მიმართულებით? სად იმყოფება ამირან მესხელი, მეგის ქარდავა, რომელიც ოფიციალურად ჩაბარდა რუსეთის უშიშროების ტერორისტულ სამსახურს და მათ გადასცა მთელი დოსიეები, მასალები, რაც სპეცსამსახურების საკითხს ეხებოდა?! სწორედ მეგის ქარდავა იყო ბაჩო ახალაიას მარჯვენა ხელი. დღეს კი მეგის ქარდავა აფხაზეთის ტერიტორიაზეა, მასზე მოქმედებს სპეციალური სახელმწიფო დაცვის პროგრამა, რომელსაც ფედერალური სამსახურის წარმომადგენლები ახორციელებენ და მას აფხაზეთის უშიშროების ანტიტერორისტული სამსახური უშუალოდ მფარველობს“, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მაიასაია, ასევე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილი მსახურობდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებში და ის იყო საბჭოთა კავშირის სუკის ოპერატიული თანამშრომელი, ხოლო ბიძამისი, თემურ ალასანია, როგორც სუკის საგარეო დაზვერვის ოფიცერი, „გაიშიფრა“ ნიუიორკში და ამერიკის მიერ იგი უკანონო პიროვნებად გამოცხადდა. ვახტანგ მაისაია ყურადღებას ამახვილებს რუსეთის სპეცსამსახურებთან თემურ ალასანიას კონტაქტებზეც. საუბარია იარაღით უკანონო მოვაჭრე ვიქტორ ბუტზე.

„მიხეილ სააკაშვილი შეგნებულად ემსახურებოდა რუსეთს. ის იყო რუსული პროექტი, ორმაგი აგენტი – ქართველი ნორიეგა. ნორიეგაც ერთგულებას ეფიცებოდა ამერიკას, თუმცა თანამშრომლობდა კუბის სპეცსამსახურებთან. სააკაშვილი დღესაც აგრძელებს ამ პოზიციაზე მოღვაწეობას და ხელს უწყობს დესტაბილიზაციას საქართველოში, რაც რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესებშია. ივანოვის ჩამოსვლა ვარდების რევოლუციის დროს, ვანო მერაბიშვილის ფაქტორი, რომელიც კონფიდენციალურად შეხვდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევს ერევანში. ასე რომ, მერაბიშვილი და სააკაშვილი რუსული სპეცსამსახურების გავლენის აგენტები არიან“, – აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ და ამ კონტექსტში კოდორის ჩაბარების ფაქტიც გაიხსენა, მაშინ, როცა კოდორის დაცვა სავსებით შესაძლებელი იყო სამხედრო ოპერატიული თუ სამხედრო სტრატეგიული კუთხით.

მისი თქმით, სააკაშვილმა ეკონომიკური დივერსია მოაწყო და სტრატეგიული ობიექტები გადააბარა რუსეთს. მისი იდეა იყო, გაზსადენების, ნავთობსადენის სისტემა „გაზპრომისთვის“ ჩაებარებინა, თუმცა მისი მცდელობა ამერიკელებმა შეაჩერეს. ასევე, ვახტანგ მაისაია რუსული ზეგავლენით ხსნის ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ფაქტს, რაც იმის გამო მოხდა, რომ ფოთის პორტის პრივატიზაცია განხორციელდა ერთ-ერთი კომპანიის მიერ, რომელიც რეალურად რუსული კომპანია იყო და აქ გადაიკვეთა სააკაშვილისა და ჟვანიას ინტერესები. ფაქტობრივად, სააკაშვილს რუსული კომპანია შემოჰყავდა, რასაც შეეწირა ზურაბ ჟვანია.

ასევე, ვახტანგ მაისაიასთვის ამ კუთხით საინტერესოა ლაფანყურის ოპერაციის დეტალები, რომელიც იჩქერიის დევნილი მთავრობის წარმომადგენლის ახმედ ზაკაევის დაკვეთით გამოიძიეს და დასკვნაც დაიდო, რომ ეს ოპერაცია სააკაშვილისა და მერაბიშვილის მხრიდან რუსეთის სპეცსამსახურების უშუალო დაკვეთით განხორციელდა, სადაც განადგურდა ე.წ. ტერორისტების ჯგუფი, რომლებიც, სინამდვილეში, ანტირუსული ორიენტაციის იყვნენ.

„სწორედ ამ ინტერესების დამალვას ემსახურებოდა სააკაშვილის მიერ სხვებისთვის ჯაშუშების დაბრალების ისტერია“, – ფიქრობს ვახტანგ მაისაია და ბარაკ ობამას დისტანცირების ფაქტს იხსენებს სააკაშვილთან მიმართებით. ასევე, აცხადებს, რომ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი არ ელაპარაკებოდა სააკაშვილს და ბუქარესტის სამიტზეც არ მივიღეთ მაპი, რადგან გერმანიამ უნდობლობა გამოუცხადა სააკაშვილის რეჟიმს, როგორც ტროას ცხენს.

ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲘᲛ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲗᲐᲗ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ:

1. ენგურჰესი – რუსული კომპანია „რაოესი“.
2. ჟინვალჰესი – რუსული კომპანია „რაოესი“.
3. რიონჰესი – რუსული კომპანია „ენერჯი ინვესტი“.
4. გუმათი1 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
5. გუმათი2 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
6. ლაჯანურჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“
7. შაორჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“
8. ვარციხე1 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
9. ვარციხე2 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
10. ვარციხე3 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
11. ვარციხე4 - რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
12. ხრამი1 – რუსული კომპანია „რაოესი“.
13. ხრამი2 – რუსული კომპანია „რაოესი“.
14. ხრამი3 – რუსული კომპანია „რაოესი“.
15. ხრამი4 – რუსული კომპანია „რაოესი“.
16. ხრამი5 – რუსული კომპანია „რაოესი“.
17. ყაზტრანსგაზ თბილისი-რუსული კომპანია „გაზპრომი“.
18. გაზ.კომპანია „იტერა“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია.
19. შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია.
20. გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი – რუსული კომპანია „ინტერ რაო“.
21. გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი – რუსული კომპანია „ინტერ რაო“
22. მაღალი ძაბვის გადამცემი 500-კილოვატიანი ხაზები-რუსული კომპანია „ინტერ რაო“.
23. „მადნეული“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“.
24. „კვარციტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“.
25. საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან „რუსეთის რკინიგზა“.
26. კომპანია „ბილაინი“ – რუსული კომპანია.
27. „აზოტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“.
28. „გაერთიანებული ქართული ბანკი“ – რუსული კომპანია „ვითიბი“.
29. „ლუკოილ ჯორჯია“ – რუსული კომპანია „ლუკოილი“.
30. „ზესტაფონის „ფერო“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“.
31. ელმავალმშენებელი ქარხანა – რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“.
32. არამიანცის, თბილისის №1 საავადმყოფო – რუსული კომპანია „ბატუსი“.
33. თბილისის წყალი – რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერი“.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

№183. ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 2013 წელი.

რუსული „ჭრა-კერვა“

დუგინმა სამეგრელოსა და ჯავახეთის მომავალი „განჭვრიტა“

საძართველოსთან მიმართებით კრემლის მთავარი იდეოლოგი **ალექსანდრე დუგინი**, როგორც წესი, პროგნოზებს არ იშურებს. მან განჭვიტა, რომ მალე სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბედს აჭარა, სამეგრელო და ჯავახეთიც გაიზიარებენ.

„საქართველო — ეს შეუმდგარი სახელმწიფოა და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობის პროცესი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე ამით არ გათავდება. როდესაც ჩვენი ჯარები ზუგდიდის რაიონს „ასუფთავებდნენ“, მათ ძალიან ბევრ სოფელში ყვავილებითა და სიხარულით ხვდებოდნენ, რადგანაც მეგრელებმა იციან, რომ უკვე ისინი აღმოჩნდნენ პოტენციური გენოციდის საფრთხის ქვეშ საქართველოს მხრიდან“, — აცხადებს დუგინი.

მისივე თქმით, სწორედ ასეთივე მდგომარეობაა აჭარაში, ჯავახეთსა და პანკისში. მეტიც, დუგინის თქმით, საქართველო, თავისი არსით არა სახელმწიფო, არამედ მულტიეთნიკური სტრუქტურაა და ამ სტრუქტურისათვის ერთი ნაციის იდეის თავსმოხვევა, როგორც ამას სააკაშვილი აპირებდა, გარდაუვალ ეთნიკურ წმენდას მოასწავებდა. დუგინის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა დაიცვეს ორი ერი, ახლა მათ დახმარებას საჭიროებენ დანარჩენი ერებიც, რომელთაც თავს ახვევენ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას.

დუგინი კონკრეტულ სცენარზეც საუბრობს. მისი ვერსიით, სიტუაცია ანალოგიური სცენარით განმეორდება. ეს იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს კონფლიქტთან, რომელიც თავისით ვერ გადაწყდება, ამიტომ რუსები უნდა ჩაერიონ.

„სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, შეგვეძლოს ამ პრობლემური ერებისთვის ხელის მოხვევა და სხვებისთვის გადაცემა ოღონდ არა ამერიკისთვის, მაგალითად, ირანის ან თურქეთისთვის, რომლებიც სწორ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებენ“, — განაცხადა კრემლის იდეოლოგმა.

უფრო ადრე დუგინს უფრო მრავლისმომცველი განცხადება ჰქონდა გაკეთებული, როცა აცხადებდა, რომ რუსეთმა უნდა დაიპყროს ევროპა! ამ რუსული კონცეფციის წყაროდ იგი მე-19 საუკუნის რუს პოეტს ტიუტჩევს ასახელებდა, რომლის თქმითაც, რუსი მეფე საერთო ევროპული მეფე უნდა ყოფილიყო, ე. ი. ბიზანტიის იმპერიის ამღორძინებელი. დუგინის ფილოსოფიური ხედვა სწორედ ევროკავშირზე პროტექტორატის დამყარებასა და ახალი ბიზანტიური იმპერიის შექმნაში გამოიხატებოდა.

საამისოდ არა მარტო რუს პოეტს, არამედ ევროპელ ფილოსოფოსებსაც იშველიებდა, თურმე ნიცშე, შპენგლერი მნიშვნელოვანწილად ფიქრობდნენ რუსეთისათვის ევროპის გადაცემის პერსპექტივაზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე დუგინის პირით კრემლი გველაპარაკება, რა საფუძველი აქვს კრემლის იდეოლოგს, რომ ამჯერად აჭარის, სამეგრელოსა და ჯავახეთის მომავალზე ასეთ კონტექსტში ისაუბროს?

ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** დუგინის განცხადებებს იმ ფაქტს უკავშირებს, რომ, როგორც ჩანს, რუსეთშიც ემზადებიან საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და ამ არჩევნებს მათთვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, ზაზა ფირალიშვილი უფრო საინტერესო პროცესებს სწორედ ქართული არჩევნების შემდეგ ელოდება, როცა გამოიკვეთება, თუ ვინ გაიმარჯვა არჩევნებში და ვინ გავიდა მეორე ადგილზე.

„დუგინის ეს განცხადებები ისეთივე როლს ასრულებს ჩვენთვის, როგორც განცხადებები ასაფეთქებელი ნივთიერების ჩადების შესახებ და ა.შ. ეს ყველაფერი ჩვენი საზოგადოებრივი აზრის დესტაბილიზაციას ემსახურება. მეორე მხრივ, ალექსანდრე დუგინი არ არის ის ადამიანი, რომელიც თავის ნებაზე ლაპარაკობს რაღაცას, იგი გახლავთ პუტინის ოფიციალური მრჩეველი და ცნობილია თავისი გამონათქვამებით. იგი ხშირად ახმიანებს ისეთ მოტივებს, რა მოტივებსაც პუტინი გარკვეულ მიზეზთა გამო ხმამაღლა ვერ იტყვის. ამდენად, დუგინის ენით საუბრობს რუსული ნეოიმპერიალისტული რევანშიზმი, რომელიც ასეთ პროექტს სახავს საქართველოს ხელახლა რუსეთის წიაღში დასაბრუნებლად“, — აცხადებს ზაზა ფირალიშვილი.

მისი თქმით, ამგვარი გეგმა რუსეთს დიდი ხანია აქვს, თანაც, არა მხოლოდ სამეგრელოსთან დაკავშირებით. აქ საუბარია ჯავახეთზეც. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის რუსულ ცნობილ ენციკლოპედიაში წერია, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არაქართველები არიან. კერძოდ, ქართველები არიან უმცირესობაში, ხოლო დანარჩენები არიან იმერლები, კახელები, მეგრელები, გურულები და ა.შ. ანუ არც ერთი ქართული ტომი არ არის ჩათვლილი ქართველად.

ზაზა ფირალიშვილის თქმით, რუსი იდეოლოგების მიერ შექმნილ ასეთ თეორიას, სამწუხაროდ, რეალური შედეგები მოჰყვა აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან მიმართებით. თუმცა ძალზე საეჭვოა, რომ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მოჰყვეს რეალური შედეგები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯავახეთს, სადაც კრემლის იდეოლოგიის წყალობით დემოგრაფიული დისბალანსი შეიქმნა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში.

ასე რომ, ზაზა ფირალიშვილის აზრით, რუსებმა საამისოდ შექმნეს ერთგვარი „თეორიული საფუძველი“. უფრო მეტიც, სამწუხარო ის არის, რომ რუსი ინტელიგენტებიც კი იოლად იჯერებენ ამ თეორიას.

„ერთი რუსი ფილოსოფოსი, ჩემივე კოლეგა, კარგა ხანს მარწმუნებდა, რომ საქართველოს მოსახლეობა მართლაც არ არის ერთგვაროვანი, რომ თურმე იმერლები და ქართლელები ერთმანეთისგან ეთნიკურად განსხვავდებიან, რადგან სხვადასხვა ტომის ხალხია“, — აღნიშნა ზაზა ფირალიშვილმა.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც არშემდგარ სახელმწიფოს, ფილოსოფოსის თქმით, ამის შესახებ არ უნდა ისაუბროს ისეთი სახელმწიფოს წარმომადგენელმა, რომელზეც მსოფლიოში მოხმარებული ჰეროინის 24% მოდის. თავისთავად, ეს რიცხვი მეტყველებს იმაზე, თუ როგორი სახელმწიფოებრიობაა ჩვენს ჩრდილოეთით, რადგან ჰეროინით დაღუპულთა 40% რუსეთშია.

პოლიტიკური ექსპერტი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ იმერლებად, კახელებად, მეგრელებად თუ ქართველებად დაყოფა დუგინის მხრიდან გაჟღერებული ახალი იდეა არ არის. ეს ძველი იდეა იყო და რუსეთის იმპერია ყოველთვის ცდილობდა, გაეთიშა ქართული საზოგადოება და არა როგორც ერთიანი ქართველი ერი, არამედ ჯგუფებად დაეყო.

პოლიტოლოგის განმარტებით, ასეთი მიდგომა ხელს აძლევს რუსეთის იმპერიას, თუმცა ამან არ გაამართლა არც ძველად, რუსეთის იმპერიის დროს და არც არასდროს გაამართლებს. ამის მიუხედავად, დუგინის განცხადებები და პიარსვლა ერთ მიზანს ემსახურება, რომ მის მიერ წამოჭრილი თემის ირგვლივ შეფასებები გაკეთდეს.

„მათ უნდათ, რომ ჩვენ ვამტკიცოთ, რომ მეგრელები და აჭარლები ქართველები არიან. ამით ფიქრობენ, თავს ავარიდებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ზრუნვას. არა მგონია, რუსეთში ვინმე სერიოზულად ფიქრობდეს რაიმე ანტიქართული მოძრაობის დაწყებაზე რომელიმე ამ რეგიონში, პირიქით, ათასჯერ დამტკიცდა, რომ 200-წლიანი მცდელობის მიუხედავად, სეპარატისტული განწყობის ჩანერგვა ვერაფრით შეძლო რუსეთმა. რაც შეეხება სამხედრო ძალით შემოსვლას, ომის გამოცხადება რუსეთს შეუძლია, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ სამეგრელოში ან აჭარაში, მაგრამ არა მგონია, პროვოცირებისთვის ღირდეს ასეთი ამბის ატეხვა“, — აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

რაც შეეხება დუგინის ნათქვამს შეუმდგარი სახელმწიფოს შესახებ, პოლიტოლოგის აზრით, ყველა ადამიანი ამაში სხვადასხვა რამეს გულისხმობს. თუ ვლაპარაკობთ დემოკრატიულ სახელმწიფოზე, საქართველო რომ დემოკრატიული სახელმწიფო არ არის, ეს ფაქტია, ხოლო, თუ საუბარია ავტორიტარიზმზე, ვახტანგ ძაბირაძე ფიქრობს, რომ იმაზე უკეთესი სახელმწიფო გვაქვს, ვიდრე — რუსებს.

ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** აცხადებს, რომ ალექსანდრე დუგინის მთელი ცხოვრება უცნაური და ბუნდოვანია, უკიდურესად შავ-ბნელი მიმართულების იდეოლოგია კი რუსეთში ყოველთვის არსებობდა და ბოდვით იდეებზე იყო დამყარებული. თუმცა თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ დუგინი გულწრფელად დარწმუნებულია, რომ რუსეთი სამყაროს მხსნელია და რუსული გზა ერთადერთი სწორი გზაა მსოფლიოსთვის. ყველაფერი ეს კი აგებულია დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

„მათი მიზანია, ნებისმიერი რეგიონი მოწყვიტონ საქართველოს. რუსულ წყაროებში ბევრგან შეხვდებით, რომ მეგრელი, სვანი და აჭარელი ქართველი არ არის. გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ საქართველოს ანექსია რომ მოხდა, რუსებმა ქართველები დაყვეს 14 ეროვნებად — თუშები, მეგრელები, კახელები, იმერლები და ა.შ. ახლა ამავე თანამიმდევრობით მიჰყვებიან“, — აცხადებს თორნიკე შარაშენიძე.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

„თბილისის განვითარების ფონდის“ შეფი ფლორენციაში დააკავეს

იტალიელმა სამართალდამცველებმა წითელი ცირკულარით ძებნილი, „თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი თავმჯდომარე გიორგი საბანაძე დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შს სამინისტრო განცხადებას ავრცელებს.

— მიმდინარე წლის 22 სექტემბერს ინტერპოლის თბილისის ბიუროდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, იტალიაში, ქ. ფლორენციაში სამართალდამცველებმა წითელი ცირკულარით ძებნილი, 1974 წელს დაბადებული გიორგი საბანაძე დააკავეს.

გიორგი საბანაძე ინტერპოლის წითელი ცირკულარით დაკავების და ექსტრადიციის მიზნით საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 19 აგვისტოდან იმყოფებოდა. მას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით მითვისება-გაფლანგვას.

2010 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 16 ოქტომბრამდე გიორგი საბანაძეს „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა. მან თბილისის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროს ალექსანდრე თაბუაშვილთან და თბილისის ვიცე-მერ დავით ალავიძესთან ერთად 2011 წლის შემოდგომაზე ჩამოაყალიბა ორგანიზებული ჯგუფი, რომელშიც ასევე ჩართული იყვნენ სხვა ოფიციალური პირები და საჯარო მოსამსახურეები. აღნიშნული ჯგუფის მიზანი იყო 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების წინასაარჩევნო ხარჯების „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხებით უკანონო და განმეორებითი დაფინანსება.

2011 წლის 9 ნოემბერს გიორგი საბანაძემ მიმართა სს „ლიბერთი ბანკს“ და მოითხოვა 719 ცალი სახელფასო ბარათის დამზადება იმ სპეციალისტებისთვის, რომელთაც თითქოს უნდა შეემოწმებინათ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი შენობა, სინამდვილეში კი ისინი წარმოადგენდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს. გიორგი საბანაძემ ალექსი თაბუაშვილს გადასცა პლასტიკური ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა დროს უკანონოდ ირიცხებოდა „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხები. თაბუაშვილმა თავის მხრივ დაარიგა აღნიშნული ბარათები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის რაიონულ ორგანიზაციებში, ხოლო ბარათებზე დარიცხული თანხები ნაწილდებოდა პარტიის აქტივისტებს შორის ხელფასის სახით. ამრიგად, 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისამდე ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა უკანონოდ მიითვისეს ფონდის კუთვნილი თანხა 13 852 497 ლარის ოდენობით.

2012 წლის თებერვალი-ივლისის პერიოდში გიორგი საბანაძემ და დავით ალავიძემ ფონდის კუთვნილი თანხებით უკანონოდ დააფინანსეს „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანია და პარტიის ლიდერების შეხვედრა მათ მხარდამჭერებთან. ამის შედეგად მათ უკანონოდ გაფლანგეს ფონდის კუთვნილი 719 862 ლარი.

2012 წლის 16 ივლისიდან 3 ოქტომბრამდე საბანაძემ და ალავიძემ „ლიბერთი ბანკში“ არსებული „თბილისის განვითარების ფონდის“ ანგარიშიდან უკანონოდ მიითვისეს 34 328 463 ლარი, — ნათქვამია შსს-ის განცხადებაში. მათივე ცნობით, გიორგი საბანაძეს იტალიის სამართალდამცავი ორგანოების მიერ შეეფარდა წინასაექსტრადიციო პატიმრობა და მის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

ინტერპრესი

ჭორო, საიდან მოდიხარ?

მთავარი მეოცნების პოლიტიკური სცენიდან წასვლის სავარაუდო მიზეზები

საარჩევნო ვადის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ, ამომრჩევლისა და არჩეულის დამოკიდებულება რომ კარდინალურად იცვლება, ცნობილი ფაქტია. ისიც ცნობილია, არჩეული, ამომრჩეველს ზემოდან უწყებს ყურებას, თანაც დამცინავად, გულში გავლებით – რა ბრიყვები ყოფილანო. ამ თვისებით, სამწუხაროდ, არჩეულთა დიდი ნაწილია დაავადებული და რაც არ უნდა ვიძახოთ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთო, ამ საქმეს არაფერი ეშველება, პირიქით „დემოკრატიის“ წყალობით არჩეულნი და ძმანნი მისნი უმალ პირში მოგახლიან – არ გინდათ, ბატონო, და მომავალ არჩევნებზე ნულარ აირჩევთ, თქვენი ნება არ არისო.

და მართლებიც არიან – არჩევნები ხალხის ნება-სურვილის გამოხატულებაა, მაგრამ აქ არა, იქ – ე.წ. დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქ რაც იყო, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, იმას უფრო სიტყვა „ავტოარჩევნები“, ავტოპორტრეტის მსგავსად, მიესადაგება. რა იქნება მომავალი ოქტომბრის არჩევნებში, არავინ უწყის. მაგრამ ერთი რამ ცხადია – 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგით ამომრჩეველი კმაყოფილი არ არის, რასაც არა მარტო სამზარეულოში, საჯაროდაც გამოხატავს, ისე, როგორც მწერალი თამაზ წივწივაძე „საერთო გაზეთში“:

„ქვეყანა დიდი ნაბიჯებით წინ რომ წასულიყო, ჯერჯერობით საამისო არაფერი ეტყობა! ისევ უსამართლობა! ისევ უმუშევრობა! ისევ შიმშილი და უიმედობა! კარგი, რა! რისი პირველი ეტაპი დამთავრდა, ბატონო ბიძინა, რა ნაგავშიც აქამდე ვიყავით საქართველოს მოსახლეობა, დღესაც იმავე ნაგავში ვართ თავჩარგული და ქათმებივით ვიქექებით მეორადი მოხმარების საკვების მოსაპოვებლად“.

მსოფლიოში ცნობილი ფაქტია არჩევნების მარათონში, ასარჩევ კანდიდატთა მხრიდან უამრავი დაპირების დახვავება, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ იქ, ე.წ. დემოკრატიულ სამყაროში, არჩეული დანაპირების რაღაც პროცენტებს მაინც ასრულებს. აქ დაპირება დაპირებად რჩება. ასეა დღემდე, „ოცნების“ ზეობის ჟამსაც. არც წვრილმანი და არც მსხვილმანი დანაპირების შესრულებას პირი არ უჩანს და რახან არც გამოუჩნდება – მიზეზთა გამო, მთავარი მეოცნებე პოლიტიკური სცენიდან წასვლას აპირებს. **ბარაქალა ბიძინას არჩევანს!**

მიხვდა კაცი, რომ სახელმწიფო მოხელეობა მისი საქმე არ არის. მილიარდების პატრონი, რა თავში იხლის პრემიერობას და მთავრობის სხდომობიას?! დაუბრუნდება თავის ბიზნესურ საქმიანობას და შორიდან, ხანდახან, შეხედავს თავის მიერ დატოვებული ყმაწვილი გოგო-ბიჭების (პოლიტიკური უწიგნურობიდან გამომდინარე და არა ასაკიდან) ნაცოდვილარს.

რა არის ამაში გაუგებარი?

არც არაფერი, მით უმეტეს მოსვლამდე ხომ გვაფრთხილებდა – დიდი, დიდი ორი წლით მოვალო. ეს დაპირება ხალხმა ისე გაიგო, როგორც უნდა გაეგო, ანუ: ყურადღება არ მიაქცია, იფიქრა – ხუმრობს ალბათო. მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს და რაღა ახლა გამართლდება მისი ნათქვამიო.

გაჯიქებულმა ბიძინამ კი მოუხშირა წასვლის თემაზე ლაპარაკს და, როგორც იქნა, ურწმუნო თომებს შეაგნებინა, რომ მისი დაპირება, წასვლასთან დაკავშირებით, ხელშეუვალი ჭეშმარიტებაა, არა ისეთი, ამომრჩეველს რომ დაპირდა – ქვეყანას ავაშენებო.

და დაიწყო სხვადასხვა სახის ვარაუდების ჩამოყალიბება მის წასვლასთან დაკავშირებით. ზოგი რას ამბობს და ზოგიც რას – ამის ბრალი და იმის ბრალიაო. ზოგი ამერიკაზე მიანიშნებს, ზოგიც რუსეთზე – დიდი ქვეყნების ზეწოლას ვერ უძლებს და იმიტომ მიდისო. მოსვლამდე, ქვეყნის მართვასთან დაკავშირებული მისეული მსუბუქი წარმოდგენა რომ ყოველდღიურმა გაუსაძლისობამ გააბათილა, იძულებული გახდა, წასვლაზე ეფიქრაო და ა.შ.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, ყოველდღიური ამერიკული პრესის ატანა ხუმრობა ხომ არ არის. რაღაცას იტყვი და ნორლანდიც სისხამ დილით მოგივარდება.

ბიძინას საბედნიეროდ, რუსეთის საელჩო აქ არ არის, თორემ არც მისი ელჩი დაახანებდა. ახლა ეს ბიჭ-ბუჭა ჟურნალისტები, თავხედურად რომ პირში უვარდებიან და აზრის დამთავრებას არ აცლიან. ძნელია მათი ატანა, მით უმეტეს გარდაქმნა. ისინი ასეთები არიან და ასეთებად დარჩებიან.

ბიძინას წასვლის მთავარ მიზეზად ხალხი სააკაშვილისა და მისი ნაცების დანაპირები დასჯის შეუსრულებლობას ასახელებს, იშველიებს რა თვით მთავარი „მეოცნების“ შემრიგებლურ სიტყვებს – ისინიც ჩვენი ქვეყნის შვილები არიან და უნდა შევუნდოთო, ან – სააკაშვილს არავინ დაგვასჯევინებს, ვინაიდან ამერიკელთა ჯილაა რეგიონის დემოკრატიზაციაშიო და ა.შ.

ზოგი იმასაც ამბობს, ივანიშვილმა აშშ-ს შეკვეთა შეასრულა – ხელისუფლებაში მოიყვანა რესპუბლიკელებ-ალასანიას პროამერიკული გუნდები, თან „ნაციონალებიც“ შეინარჩუნა, როგორც გავლენიანი პოლიტიკური ძალა – დავალება შეასრულა და მიდისო.

ზოგი იმასაც ამბობს, ბიოლოგიური ლაბორატორია მას ძალიან აღიზიანებს, მაგრამ, ამერიკელთა ხათრით ვერაფერს ამბობს საწინააღმდეგოსო.

ბიოლოგიური ლაბორატორიის თემა, როგორც იქნა, საზოგადოების მიძინებული ყურადღების არეალში ხვდება, თუმცა ძნელია იმის თქმა, რომ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება ექცევა, ვინაიდან „ანაღვლე“ საზოგადოებას ვერ წარმოუდგენია, რა „საჩუქარი“ მოგვიძღვნა „საყვარელმა“ ამერიკამ.

საქმეში ოდნავ ჩახედულნი იმასაც ამბობენ, რომ ბეღურების, მერცხლების გაქრობა, ბიოლოგიური ლაბორატორიების და იმ ექსპერიმენტების ბრალია, რაც იქ ტარდებაო. საქართველოს თითქმის ყოველი კუთხის მცხოვრები ღორების მასობრივ დახოცვას სხვადასხვა სახის დაავადებათა ხელოვნურ გავრცელებას აწერს და ხელს ლაბორატორიისკენ იშვერს. სხვათა შორის არა მარტო ისინი, არამედ რუსებიც, ონიშენკოს სახით, თითს სწორედ იქითკენ იშვერს: „ღორის ჭირი, ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსული, საქართველოდან ვრცელდებაო“, - აცხადებდა.

ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე, როგორც ვაშინგტონის ოფიციალური პირები, აცხადებენ - დიახ! ლაბორატორია ჩვენ ავაშენეთ 300 მილიონ დოლარად, პერსონალიც ჩვენ ვატრენინგეთ საზღვარგარეთ და მომავალში დიდ შედეგს ველითო. არავითარი მავნე ვაქცინები, სხვა სახის რეაქტივები აქ არ მზადდება და თუ არ გჯერათ, მიდით და ნახეთო.

მაგრამ, ხალხს მაინც არ სჯერა, ვინაიდან ძნელია დაიჯერო მატყუარა ხელისუფლების, მით უმეტეს აშშ-ის ასევე მატყუარა ხელისუფლებასთან ტანდემში მყოფის.

შეიძლება თუ არა დაეჯერებოდეს ხელისუფლებას, რომელიც წლების განმავლობაში არა მარტო საკუთარ ხალხს, არამედ სხვა ქვეყნების ხალხებსაც და მთავრობებსაც გულმოდგინედ უსმენდა. და რაც კიდევ უფრო გასაღიზიანებელია – უსმენდა თავის მოკავშირეებს. სწორედ ამიტომაც, პროტესტის ნიშნად, ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა გადადო ოფიციალური, სახელმწიფო ვიზიტი აშშ-ში. მას, გადაწყვეტილება ვერც აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას სატელეფონო ზარმა ვერ გადააფიქრებინა.

ახლა რაც შეეხება ლაბორატორიას, უნებლიედ იბადება კითხვა, რატომ მაინცდამაინც ბიოლოგიური ლაბორატორია?

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბევრ საინტერესოს ვკითხულობთ. მაგალითად, **„ეს არის იმ დიდი პროექტის ნაწილი, რომელიც აშშ-მა 2000 წლების დასაწყისში შემოგვთავაზა. მისი ინიციატორი სენატორი ლუგარი იყო. ასე გაჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე 22 ბიოლოგიური ლაბორატორია, მათ შორის დიდი ცენტრები ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში. ამ ლაბორატორიების მთავარი მიზანია, რეგიონების დამახასიათებელი ბაქტერიების, ვირუსებისა და მიკროორგანიზმების შეკრება და შესწავლა, აგრეთვე ინფექციების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ადამიანებში, ისე ცხოველებში“.**

შეისწავლეს, მაგრამ ღორების დაავადებას და ქათმების გაწყვეტას ვერაფერი უშველეს არათუ საქართველოში, არამედ, ონიშჩენკოს მიხედვით, რუსეთშიც. **„ამ ლაბორატორიებიდან შემოდის რუსეთში პირუტყვის სხვადასხვა ინფექციები, მათ შორის „აფრიკული შავი ჭირი“, რომელიც ღორებს აზიანებს“,** – თქვა მან.

ონიშჩენკომ ლაბორატორიას სამხედრო ობიექტი უწოდა, რაც მოითხოვს „ნეგატიურ და მკაცრ“ შეფასებას რუსეთის ხელისუფლების მხრიდან.

ამ ლაბორატორიასთან მიმართებაში არა მარტო რუს ონიშჩენკოს აქვს ნეგატიური მოსაზრება, არამედ აშშ-ის მკვლევართა ჯგუფს, მათ შორის ჯეფრი სილვერმანს. ჯგუფი ამტკიცებს, რომ ლაბორატორიები აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

ამერიკული ჯგუფის გამოკვლევის შედეგებზე ქვევით მოგახსენებთ, ამჯერად კი სხვებთან ერთად დავსვამ მარტივ კითხვას – **2000 წელს, გაპარტახებულ საქართველოში, რომელსაც გაცილებით მეტად ესაჭიროებოდა სხვა სახის საწარმოები, მათ შორის ხილის გადამუშავებელი, რაღა მაინცდამაინც ბიოლოგიური ლაბორატორია? თან რეგიონში უნიკალური? რაღა მაინცდამაინც ბიოლოგიური ლაბორატორია ამოიჩემა ვაშინგტონმა და არა სხვა რამ? კავკასიაში, რაღა საქართველოში და არა აზერბაიჯან-სომხეთში?**

ამ კითხვებს BBC-სთვის გაცემული პასუხი ვერ აკმაყოფილებს, არც ლაბორატორიის წარმატებულობა ჩანს, ვინაიდან ღორები და ფრინველები იხოცება. ეს დახოცვა არ არის ის, ნაცებმა, ჭირის საბაბით (ჭირი მოდისო), მოსახლეობას ღორები რომ დაახოცინეს თავიანთი მმართველობის პირველ წლებში. თუ არ ვცდები, მაშინ ამ კამპანიას, როგორც ხალხი ამბობდა, „სახელოვანი“ ოქრუაშვილი ედგა სათავეში. ხალხი იმასაც ამბობდა, „შავი ჭირის გავრცელების შიში“ – ფოთში მომდგარი გაყინული ღორის ხორცის გასაღებით იყო გამოწვეულიო.

ახლა კი დავუბრუნდეთ ამერიკელებს. 2013 წლის 27 აგვისტოს ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა, პოლიტიკური გამოძიების სფეროში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაზვერვის თანამშრომლების გამოცემის („ვეტერანები დღეს“) მთავარმა რედაქტორმა გორდონ დაფმა გამოაქვეყნა სტატია „შეერთებული შტატების კონტრაქტორები სირიაზე ქიმიურ შეტევას ადასტურებენ“ და ვიდეო – „საჰაერო შეტევასთან სირიის არმიას საერთო არაფერი აქვს“, რომელშიც ნათქვამია: **„ვიდეო, რომელსაც უყურებთ, სირიაშია გადაღებული. მასზე ასახულია იარაღი, რომელიც საქართველოდან გადმოგზავნეს. ამ ყველაფრის უკან აშშ დგას. ჯეკ კიმი ის ადამიანია, რომლის დახმარებითაც ეს იარაღი საქართველოდან, თურქეთის გავლით, სირიაში აშშ-ის ხელშეწყობით ჩამოვიდა. ქიმიური იარაღის კვალს საქართველოდან მოჰყვნენ. იგი „ალ-ქაიდას“ ტერორისტებს სირიის ტერიტორიაზე თურქეთის არმიის ქვედანაყოფებმა ჩამოუტანეს“.**

„ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოში არსებული ლაბორატორიების ქსელს, ფაქტობრივად აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს და მას შეტევითი პოტენციალი აქვს. ზოგი უფრო შორსაც კი მიდის და აცხადებს, რომ აშშ-ის მთავრობა საქართველოსა და მის მოსახლეობას თავისი მიმდინარე კვლევებისთვის იყენებს. მეც ამგვარი ეჭვი მაქვს. რუსები დარწმუნებული არიან, რომ ქართველები, მათი მეგობრები, ნატო, აკეთებენ იმას, რაც არ არის დაშვებული საერთაშორისო ბიოიარაღის შესახებ შეთანხმებით. აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს აქვთ ბიოკვლევის პროექტები საქართველოში. ისინი ნიღბავენ ამ ყოველივეს, თითქოს სამოქალაქო კვლევას ახორციელებენ.

რუსული მედია იყო საქართველოში რამდენიმე კვირის წინ და გადაიღო საგამოძიებო ფილმი, რომ აშშ-მა ამჟამად დროებით შეაჩერა ალექსეევკაში ბიოიარაღის განვითარების გეგმა რუსული პრესის გამო.

ჭეშმარიტება მალე გამომჟღავნდება, თუ რატომ დაიხარჯა ამდენი ფული ამ ლაბორატორიაზე და როგორ იყენებდნენ აშშ, თურქეთი და საუდის არაბეთი საქართველოს, რათა ქიმიური იარაღი მიეწოდებინათ ტერორისტებისთვის, ძირითადად „ალ-ქაიდასთვის“. ერთი რამ ნათელია, ამერიკელები ჯერ კიდევ არიან ჩართული ბიოკვლევით პროგრამებში საქართველოში. ქართველებს არ შეუძლიათ ასეთი ლაბორატორიის მუშაობის უზრუნველყოფა“, – აცხადებს ჟურნალისტი და მკლევარი ჯეფრი სილვერმანი.

ამერიკელი სილვერმანი რუსი ონიშჩენკო არ არის, რაც კარგად უნდა იცოდეს ლაბორატორიის არსებობის დამცველმა ქართველობამ. ისიც უნდა იცოდეს, რომ სილვერმანმა ლაბორატორიასთან დაკავშირებით უკვე გამოაქვეყნა თავისი ინტერვიუ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“. ამდენად უმჯობესი იქნებოდა ამ პიროვნებასთან ერთად თემის განხილვა იმავე ან სხვა გაზეთის ფურცლებზე. საზოგადოებას, უდავოდ ესაჭიროება მსგავსი რამ და არა BBC-სთვის მიცემული ცალმხრივი ინტერვიუ, სადაც სილვერმანის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის საწინააღმდეგო მცდელობაა.

თავისი ხანმოკლე პრემიერობის ჟამს, რამდენი ასეთი არასასიამოვნო ფაქტის შემსწრე აღმოჩნდა ივანიშვილი. ჭორვილაში შეკეტილი, იზოლირებული ცხოვრებით გართული პირისთვის წარმოუდგენლად ძნელი გამოდგა ახალი ინფორმაციის ათვისება. **არადა, რა ძნელი ასათვისებელია რუსეთთან საქმის დალაგებაც და პარალელურად ნატო-ევროკავშირისკენ ყურება; საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენაც და ამერიკელთა არგანაწყენება; ნაცებისა და მათი ბელადის დასჯაც და აშშ-ის ხელისუფალთათვის თვალის გასწორება; ეკონომიკურ-სოციალური ჩავარდნების გამოსწორება და საარჩევნო დანაპირების შესრულება; ქართული საზოგადოების ევროპულის დონეზე გარდაქმნა და თან ნათესავ-მეგობრობის ტრადიციების (თანამდებობებზე დანიშვნასთან დაკავშირებით) შენარჩუნება; რაციონალურ, პრაგმატულ ევროპულ აზროვნებასთან დედმამიშვილების სადღეგრძელოს შეთავსება და სხვა მრავალი.**

ხალხის დასამშვიდებლად ივანიშვილმა ბრძანა – კი არ მივდივარ, სამოქალაქო საზოგადოებაში გადავდივარო, თუმცა რომელში და რას ნიშნავს ეს საზოგადოება, არ დაუკონკრეტებია.

ჩემი აზრით, მას არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქონდა მხედველობაში. ჰოდა, როგორც ჩანს, შექმნის ასეთს და ისე, როგორც ამერიკული ფულით შექმნილი „თავისუფლების ინსტიტუტი“, შეიმუშავებს პარლამენტის მიერ განსახილველ კანონპროექტებს. და ძველი ავტორიტეტის მეშვეობით მიაღებინებს კიდევაც მას. რით არის ბიძინა „თავისუფლებისინსტიტუტელ“ რამიშვილზე ნაკლები, რომელიც ნაცთა კანონთა მჭედელი იყო?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ყოფა

ღარიბთა უკანასკნელი მეგობარი

საზოგადოებრივი ყოფის ნებისმიერ სფეროში ერთი წესი ისე უტყუარად მოქმედებს, რომ აქსიომის ძალა აქვს შეძენილი — მოთხოვნა შეთავაზებას წარმოშობს. საქართველოში მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ძალიან რომ უჭირს, ყველას კარგად მოეხსენება — იმათაც, ვისაც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა თუნდაც დაკავებული მაღალი თანამდებობით ევალება, თუმცა კი საამისოდ მხოლოდ მოჩვენებითად თუ ირჯება და იმათაც, ვინც საზოგადოების გაჭირვებაზე ამა თუ იმ ხერხით ხელს ითბობს, საკუთარ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. დრო გადის, ხალხის მატერიალური მდგომარეობა თანდათან უარესდება, სასურსათო საქონლის, სამედიცინო მომსახურების, წამლებისა და ა.შ. ფასები სპონტანური მოკლევადიანი კლების მიუხედავად, განუხრელად იზრდება.

ღარიბებს ერთი მეგობარი ჰყავს — ლომბარდი, თუ არ ვცდები, დიდი ფრანგი მწერლის ბალზაკის ეს სიტყვები თითქოს ჩვენს დღევანდელ ყოფაზე მორგებული თქმაა. საბჭოურ პერიოდში ლომბარდში ერთხელ მაინც თუ ყოფილა ვინმე, არასდროს დაავიწყდება შუაღამიდან რიგში ჩამდგარი ბოხჩიანი ხალხის გატანჯული სახეები, შემდეგ გაუთავებელი მოლოდინი, გრძელი მიწისქვეშა გაყინული გვირაბის მბჟუტავი შუქის შემდეგ შემფასებელთა დიდი ნათელი ოთახის სითბო და ვიწრო სარკმელებიდან მათი მბურღავი თვალები, შემდგომ კი გამოტანილი გროშებით ხელში ღრმად ჩასუნთქული ქუჩის ჰაერი, რომელსაც თან დაჰკრავდა გაჭირვებისა და მიუსაფრობის გემო.

იმ დროს ძვირფასი ლითონების, პატიოსანი თვლების, სამკაულების, ტანსაცმელ-ფეხმაცმლის გირაოთი მიღების სარფიანი საქმე, თუმცა კი არცთუ მაღალ პროცენტად, მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა იყო. მერე ქვეყანაში ყველაფერი შეიცვალა, თავისუფალი ბაზარიც დამკვიდრდა ბიზნესის ერთნაირად უძღები ლიფსიტებითა და ღლავებით, და, ცხადია, ესოდენ მომგებიანი ნიშიც უმალ დაიკავეს საქმეში უკვე გამოცდილმა თუ გამოუცდელმა საქმოსნებმა.

ძვირფასი ნივთების დაგირავება (გნებავთ, პირდაპირ გაყიდვა) მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში სავსებით ლეგალური საქმიანობაა. ასეა ჩვენშიც, თანაც უწინდელისგან განსხვავებით ამის გაკეთება, ფაქტობრივად, ყველა ქალაქის ყველა უბანში დღე-ღამის ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. ლომბარდებს მუშტარი მთელი წლის მანძილზე 24 საათის განმავლობაში არ აკლიათ, რადგან ხალხს ძალიან უჭირს. მათ რიცხოვნობას კიდევ უფრო მეტად ზრდის კომერციულ ბანკებთან სხვადასხვა მიზეზით ურთიერთობის დაკარგული შესაძლებლობა, თუმცა კი, იქაური საკმაოდ მაღალპროცენტიანი სესხიც კი ლომბარდის საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უფრო იაფი იქნებოდა.

მიუხედავად ხალხში ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლილი და მკვიდრად გამჯდარი ლომბარდისადმი, რბილად რომ ვთქვათ, „არსიყვარულისა“ (ამ ხელობას ხომ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იტალიის ერთ-ერთი მხარის, ლომბარდიის მკვიდრებმა მიჰყვეს ხელი, „ლომბარდიც“ ამიტომ ჰქვია ამ ინსტიტუტს), მასთან ურთიერთობა შეუდარებლად მარტივია, ვინაიდან, ყველაფერ სხვას თავი რომ დავანებოთ, აქ კლიენტს სულ რამდენიმე წუთში აცნობენ, თუ რა თანხას მისცემენ ხელზე და ყოველთვიურად რამდენი ექნება გადასახადი, ვიდრე სესხის მთლიან თანხას ერთიანად არ დაფარავს. კომერციული ბანკები კი კრედიტების გაცემისას მომხმარებლის ფარულ ყვლეფაზე როგორ არიან გადასულები, ყველამ კარგად უწყის, ვისაც რომელიმე მათგანთან ერთხელ მაინც ჰქონია საქმე. არადა, კაცმა რომ თქვას, თავად ლომბარდებიც იმავე კომბანკების კრედიტებით მუშაობენ, რადგან ამ ბიზნესისთვის ძალიან დიდი სახსრებია საჭირო, კერძოდ, ერთი მეტ-ნაკლებად დიდი ლომბარდისთვის — რამდენიმე ასეული ათასი ლარი. ამდენად ეს პროცესი ფულის გამცემი ორივე სუბიექტისთვის მეტად მომგებიანია, რადგან ლომბარდებში „წვრილფეხა“ კლიენტებიც მიდიან, ვისთანაც ბანკები უშუალოდ საქმეს არ, ანდა აღარ იჭერენ, მით უმეტეს მაშინ, როცა ლაპარაკია მათთვის მეტად უმნიშვნელო, თუმცა კი ძვირფასი ნივთებით, საყოფაცხოვრებო ტექნიკით, კეთილშობილი ლითონებით, პატიოსანი თვლებითა და სხვ., (ეგრეთ წოდებულ „დალომბარდებული“ საქონლით) უზრუნველყოფილ თანხებზე. კომბანკებისთვის გადასახდელი კრედიტების სახსრებს კი, ცხადია, თავის საპროცენტო განაკვეთებიანად, ლომბარდები თავიანთ კლიენტებზე, თავის მხრივ, რამდენჯერმე მეტად ყიდიან. იმის თაობაზე, თუ რამდენად ძვირად იყიდება ფული (რომელიც ისეთივე საქონელია, როგორც ნებისმიერი სხვა, რაც ეკონომიკის ელემენტარული ჭეშმარიტებაა), ყველა მსურველს ნებისმიერი ლომბარდის შესასვლელშივე შეუძლია წაიკითხოს და ეს წარწერები ახლადგამოჩეკილი წიწილებივით ერთმანეთისგან, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება. კერძოდ, ძვირფასი ლითონების ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი 2-დან 5 პროცენტამდე, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა კი ყოველ ათ დღეში 10 პროცენტს შეადგენს. თუ რა თანხა უწევს ყოველივეს წელიწადში, თავადაც ადვილად შეგიძლიათ დაიანგარიშოთ, ბატონებო. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თუ ლომბარდის კლიენტი ძვირფასი ლითონის (ეს კი, უმეტეს შემთხვევაში, ოქროა ხოლმე) დაგირავებისას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მკაცრ (მიღებული თანხის ნახევარპროცენტიანი) სანქციას თანხმდება, მთლიან თანხას უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით აძლევენ, მაგრამ როცა ყოველთვიური გადასახადის გადახდის იმედი ნაკლებად აქვს, მაშინ ეგრეთ წოდებულ „უჯარიმო“, მაგრამ უფრო მაღალ პროცენტს სთავაზობენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძვირფასი ლითონის დალომბარდებისას კლიენტი მასში საკმაოდ მაღალ ფასს იღებს, რომელიც მისი საბაზრო ღირებულების 90 პროცენტს აღწევს, სხვა შემთხვევაში ნივთი ამ ფასის ნახევარსაც ვერ აღწევს და ხშირად მესამედს არ აღემატება.

ამდენად, რომ იტყვიან, გაჭირვებას რა ვუთხარიო, მაგრამ მაინც ყველამ თავისთვის უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად უღირს ოჯახის რელიქვიის, ანდა პირადად მისთვის ძვირფასი ნივთის ლომბარდში ჩაბარება და, მისი სავარაუდო დაკარგვის შემთხვევაში, რამდენად ატკენს გულს „ღარიბთა ამ უკანასკნელ მეგობართან“ მეგობრობა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რა არის ეთიკური და რა არა?

რამდენს იხდიან პიარში?

ელდარ პირმისაშვილი, სტრატეგიული კომუნიკაციების სააგენტო „პერიტუს გრუპის“ დამფუძნებელი, პიარ-ექსპერტია.

ყოველდღიურად გაიგებთ პიარის სახელს სხვადასხვა ბრუნვაში, ტელევიზიებიდან, გაზეთებიდან თუ რიგითი ადამიანებისგან: „გავაპიაროთ“, „დავაპიაროთ“, „შავი პიარი“ და ა.შ.

თუმცა, დღეს უფრო მოდური ფრაზაა: „ეს პიარია.“ ამ მოკლე ფრაზაში ჩანს შეფასებითი კომპონენტი, რაც გულისხმობს, რომ უკვე ჩამოყალიბებულ დოგმასთან გვაქვს საქმე და აღარ უნდა განხილვა.

პიარმა (და პიარში პირველ რიგში იგულისხმება მისი კომუნიკაციური კომპონენტი) თავისი არსებობის მანძილზე დაადასტურა, რომ ის არის ეფექტური მეთოდი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების და მართვისთვის. პიარი თავისი არსით დადებითია და მასში მხოლოდ იდეების და სიტყვების ინტერპრეტირება და მართებულ დროს მართებულ ადგილზე თქმაა მნიშვნელოვანი. ძალიან ცდებიან ის ადამიანები, რომლებსაც პიარი ტყუილი ჰგონიათ, პიარში მოტივაციით მართვა უფრო ეფექტიანია, ვიდრე მანიპულაციით, მანიპულაციური მეთოდები ისეთივე ძველია, როგორც პირველი თაობის მობილური ტელეფონი.

პიარის თემა პოლიტიკაში განსაკუთრებულად აქტუალურია, ყველა პოლიტიკოსი ამბობს: „ჩვენ პიარს არ ვიყენებთ, არ გვჭირდება!“, მაგრამ რეალობა სულ სხვას ამბობს. ფაქტია, რომ იყენებენ და თანაც არაპროფესიონალურად, თუ არ ჩავთვლით იშვიათ გამონაკლისებს.

პიარის მეთოდების გამოყენება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მეტყველება, მოსმენა ან მოძრაობა, პიარზე უარის თქმა ნიშნავს არსებობაზე (ანუ იმიჯზე, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში დამუშავებული ინფორმაციის შედეგია) უარის თქმას.

საინფორმაციო სააგენტო civil.ge-ს ინფორმაციით, საქართველოს ახალ მთავრობას ვაშინგტონის ლობისტური და პიარ-ჯგუფების მომსახურება ცოტა ხნის წინ 1.83 მილიონ აშშ დოლარი დაუჯდა.

Media.ge-ს ინფორმაციით, სააკაშვილის მთავრობა აქტიურად იყენებდა აშშ-ში არსებული პიარ-ჯგუფების Orion Strategies, Podesta Group -ის და სხვა სააგენტოებს, მათ მომსახურებაში სამ მილიონ დოლარამდე გადაუხადეს.

ვლადიმირ პუტინმა ახლახან ამერიკულ პიარ-სააგენტო „კეჩუმს“ 23 მილიონი დოლარი გადაუხადა ამერიკაში რუსეთის მთავრობის ცნობადობისა და პოლიტიკის კურსის ინფორმირების შესახებ კამპანიის ორგანიზებისათვის.

ბაჰრეინის მთავრობამ ამერიკულ და ბრიტანულ ფირმებს ქვეყნის იმიჯის გასაუმჯობესებლად 32 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა.

ეს მაგალითები მოწმობს, რომ პიარი მოწოდების სიმაღლეზეა, ჩნდება რიტორიკული კითხვა: რომ არ იყოს პიარის მუშაობა ეფექტიანი, ამდენ თანხას ვინ გადაუხდიდა მათ?

რა მეთოდებს და საშუალებებს იყენებენ პიარ-სპეციალისტები ან პიარ-ჯგუფები ეფექტიანი საკომუნიკაციო და საიმიჯო კამპანიის საწარმოებლად?

თითქმის ყველა პოპულარული პიარ-ჯგუფის მომსახურება ლობირებაზე, საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებაზე და იმიჯ კონსალტინგზე არის ორიენტირებული.

პიარ-ჯგუფები უწინარესად სწავლობენ ქვეყნის იმიჯს და პოლიტიკურ კლასს, კულტურას და სტერეოტიპებს, შემდეგ მიზნობრივ ბაზარს და მიღებული საკომუნიკაციო აუდიტის შედეგად იმუშავებენ პიარ/საკომუნიკაციო სტრატეგიებს, ხოლო ვინ იქნება მხარდამჭერი კურსის, რა შეტყობინება იქნება ჩამოყალიბებული და რა მედიასაშუალებები იქნება გამოყენებული, ეს უკვე ტაქტიკური მხარეა, თუმცა, ამ საქმიანობის მთავარი კომპონენტი ის არის, რომ ეს სამუშაო კამპანიური ხასიათისაა და შედეგიანიც.

რატომ კეთდება აქცენტი ძირითადად აშშ-ში არსებულ კომპანიებზე?

მოგეხსენებათ პიარი, როგორც პროფესია და როგორც დარგი, აშშ-ში წარმოიშვა და განვითარდა, შესაბამისად მათ დიდი გამოცდილება და ცოდნა დააგროვეს ამ სფეროში, ასევე მათი მთავარი მონაპოვარი, გარდა პროფესიონალიზმისა, მათი საქმიანობის გამჭვირვალობაა, ისინი არ მალავენ, ვისთან თანამშრომლობენ და რამდენი შემოსავალი აქვთ, რაც ნდობას მატებს მათ.

რის მიხედვით წესრიგდება მომსახურების ფასები?

მომსახურების ფასები წესრიგდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით: გამოცდილება და კონსულტანტების პროფესიონალიზმი, ასევე შეკვეთის სირთულე და დრო. სირთულეში იგულისხმება რა მიზანი აქვს კლიენტს და რამდენად რეალურია ამ მიზნის მიღწევა, ასევე დრო არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, დღევანდელი აჩქარებული რიტმით ყველა დამკვეთს ეჩქარება, თუმცა პიარი ორ დღეში არ კეთდება და ზემოთ ნახსენები მაგალითები გვიჩვენებს, რომ პიარ-დაკვეთების უმრავლესობის პერიოდი მოიცავდა სამ, ექვს თვეს ან ერთ წელიწადს.

რა მეთოდებით ფასდება კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები და, ზოგადად, დაკვეთის ეფექტიანობა?

მიუხედავად იმისა, რომ დამკვეთი ორიენტირებულია შედეგზე, სააგენტო თავიდანვე სთავაზობს დამკვეთს შეფასების კრიტერიუმების მკაცრად ჩამოყალიბებას და რაც შეიძლება დათვლადი შედეგის დადებას, რომ არ მოხდეს გაურკვევლობა, თუმცა პიარ-სააგენტო თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, იმსახურებს ნდობას და შესაბამისი კარგი განწყობა მცირე დოზით განაპირობებს შედეგის დადებითად აღქმასაც. შეფასების კრიტერიუმები არის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები, რომელიც შედარდება არსებულ სიტუაციასთან და მიღებულ შედეგთან. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ხშირ შემთხვევაში პიარ-ჯგუფები არ სთავაზობენ კანდიდატს თუ პარტიას 100%—იან შედეგს, რადგან ეს შედეგი დამოკიდებულია კანდიდატის და პარტიის მუშაობაზე და უამრავ სხვა ფაქტორზე. ასე რომ, დამკვეთი უფრო მეტს რისკავს ვიდრე პიარ-სააგენტო და ლობისტური ჯგუფები.

ეთიკა და კონფიდენციალობა

პიარის პრინციპი გულისხმობს პიარ-კონსულტანტისთვის სიმართლის თქმას და ეს სიმართლე ხშირ შემთხვევაში ეხება პირად ცხოვრებასაც, რადგან პოლიტიკოსის იმიჯი ყველა არსებული კომპონენტისგან შედგება.

ყოველთვის ისმება კითხვა, რა არის ეთიკური და რა არა, თუმცა საქართველოსგან განსხვავებით გლობალურ ფირმებს აქვთ ეთიკის კოდექსი და შიდა ორგანიზაციული რეგულაციები, რომლებიც განაპირობებს დაკვეთის ფორმატს. პიარ-სააგენტოს და კონსულტანტებს არ აწყობთ ეთიკის საკითხების უგულებელყოფა, რადგან მათ მინიმუმ იმიჯი გაუფუჭდებათ და მაქსიმუმ ჰყავთ მარეგულირებლები, რომლებიც აკონტროლებენ მათ.

კონფიდენციალობის შესახებ ხელშეკრულებაში სპეციალური პუნქტია ათვალისწინებული, რომელიც აუცილებლად სრულდება. მაგალითად, ზემოთ ნახსენები პიარ-სააგენტო „კეტჩუმი“ აშშ-ის მთავრობასთან თანამშრომლობს და ვლადიმერ პუტინთანაც, და ეს ფაქტი საერთოდ არ უქმნით უხერხულობას.

დღეს კომუნიკაციის, ანუ პიარის ეპოქაში ვცხოვრობთ. დღევანდელ მსოფლიოში ვინც ინფორმაციას მართავს, მას აქვს ძალაუფლება, ხოლო პიარი ინფორმაციის მმართველად გვევლინება.

Commersant.ge

◎ დიდი წინაპარი

მთავარია, უნივერსიტეტის სული გადარჩეს...



ნიკო ნიკოლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო ფორუმი

სამეცნიერო სტატიათა ამ ახლადდასტამბული კრებულის ხილვისას ორპოლუსიანი განცდა დამეუფლა, სიხარულისა და... დიდი გულისტკივილისაც, იმავდროულად. ზუსტად 20 წლის წინათ, ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის წინასიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის ნიკო ნიკოლაძის სახელობის კაბინეტის გამგე ქ-ნი დალი ჩიკვილაძე წერდა: **„ამ კრებულის გამოცემით ხელს შევუწყობთ ფიქრის გაგრძელებას ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობაზე, მისი დიდი ნააზრევის შესწავლის პროცესის უწყვეტობას“.**

მომდევნო — 160-ე წლისთავზე „ულმობელი საქმის კაცის“ საიუბილეოდ, კვლავ ჩვენს დედაუნივერსიტეტში, ისევ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის იმავე კათედრის იმავე კაბინეტის გამგის ქ-ნი დალი ჩიკვილაძის ძალისხმევით, ჩატარდა დიდი მამულიშვილის იუბილეცა და დაისტამბა საქართველოს დროშისფერყდიანი სამეცნიერო კრებულიც... მაშინ ყველაზე მძიმე კოშმარშიც ვერ წარმოვიდგენდით იმ ამაღლებული ზეიმის მონაწილენი, რომ მომდევნო, 170-ე წლისთავისათვის ჩვენს თეთრ ტაძარში აღარც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი იარსებებდა, აღარც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრა და არც — ნიკო ნიკოლაძის კაბინეტი...

და მაინც — ტრადიცია გრძელდება: გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორის პროფ. **გია მათიაშვილის** დიდი ძალისხმევითა და თანადგომით, გთსუ დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარის ქ-ნი **ლია თავართქილაძის** ფინანსური და მორალური მხარდაჭერით პროფ. **დალი ჩიკვილაძეს** კვლავაც მიეცა საშუალება, დედა უნივერსიტეტში დაწყებული საქმე ტრადიციისამებრ გაეგრძელებინა.

გუშინ, 24 სექტემბერს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა ნიკო ნიკოლაძის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

„ულმობელი საქმის კაცის“ ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის გამოძახილია, გთსუ-ში რამდენიმე დარგობრივი სექციის მუშაობა: ჟურნალისტიკის სექცია (თავ-რე დალი ჩიკვილაძე), სამართლის სექცია (თავ-რე გივი ლობჟანიძე), ეკონომიკისა და ბიზნესის სექცია (თავ-რე სიმონ თავართქილაძე) და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექცია (თავ-რე ვალერიან ვაშაკიძე).

მოეწყო საქართველოს ეროვნული არქივის ფოტოგამოფენა „ნიკო ნიკოლაძე — 170“ (გთსუ საააქტო დარბაზი).

ხელთ გვაქვს აგრეთვე სამეცნიერო მოხსენებათა სქელტანიანი გამოცემა, რომელიც უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს ნიკო ნიკოლაძის ღვაწლით დაინტერესებულ ნებისმიერ პიროვნებას, სტუდენტ ახალგაზრდობას.

ტრადიციულად, მრავალწახნაგაა გამოკვლევათა პრობლემატიკა, აქტუალობით, ყავლგაუსვლელობით აღბეჭდილი და თანადროული.

ია მუხრანელი-ბაგრატიონი ასეთ სტატიას გვთავაზობს: „ნიკო ნიკოლაძე და პოლემიკა პროვინციული პრესის შესახებ“. რუსულ ბეჭდურ მედიაში გამართული ამ ისტორიულად ცნობილი პოლემიკის კონტექსტში, რომლის აქტიური მონაწილე გახდა ნიკო ნიკოლაძე, ავტორი განიხილავს ნიკო ნიკოლაძის დღესაც ძალზე საჭირო და აქტუალურ მოსაზრებებს პრესის როლის, მედიის ფუნქციების თაობაზე.

ნიკო ნიკოლაძის, ამ მართლაც რომ „დროსგასწრებული მამულიშვილის“ შეხედულებათა ყავლგაუსვლელი აქტუალობაა გახაზული ამერიკელი მკვლევარის ჩარლზ მორგან სტრომეს ნაშრომში „ნიკო ნიკოლაძე: საქართველო საზღვაო ქვეყანაა“.

„ამ აპოკალიფსურ დროში ისტორიის ცოდნა ძალაა, ღონეა, ის ღონეა, რომლითაც უფლის ნებას უნდა აჰყვე და სიბოროტისგან თავი გადაირჩინო“, ასე იწყებს თავის გამოკვლევას — ნიკო ნიკოლაძის „მოგონებათა“ პარადიგმებში“ პროფ. დალი ჩიკვილაძე და გადარჩენის გზად „ნიკო ნიკოლაძის ულევი სიბრძნის შემცველი მემკვიდრეობიდან“ ამჯერად „მოგონებების“ პარადიგმებზე საინტერესო დაფიქრებას გვთავაზობს.

ორიგინალური გააზრებით იპყრობს ყურადღებას პაატა ნაცვლიშვილის „გიორგი ჭალადიდელის კალამბურები და-ძმა ნიკოლაძეებისადმი მიძღვნილ ლექსებში“. ეს გამოკვლევა სანიმუშო დასტურია იმისა, რომ არც სამეცნიერო სტილისტიკა გამორიცხავს ლირიზმსა და პოეტურ სინატიფეს, თუკი კვლევის ობიექტი ამის საფუძველს გვიქმნის.

ინტერესით იკითხება აგრეთვე: ლია ბიბილეიშვილის, გელა საითიძის, ალექსანდრე დაუშვილის, ამირან თავართქილაძის, დავით კბილაძის, გივი და დავით ლობჟანიძეების, სხვათა გამოკვლევები. სამწუხაროდ, საგაზეთო პუბლიკაცია ნაკლებად იძლევა თითოეული მათგანის წარმოჩენის საშუალებას.

გასული საუკუნის 90-იან წლებში შუა ლექციების დროს, თსუ მეორე კორპუსს ცეცხლი წაეკიდა... შევყურებდით მეექვსე (ჟურნალისტების) კორპუსის ფანჯრიდან აალებული ალმა მატერის გარშემო აწრიალებულ სახანძრო მანქანებს და ცრემლები ჩამოგვდიოდა. ამ უიმედობაში ოპტიმისტური ნოტა გაჩნდა: **უნივერსიტეტი კედლები არ გახლავთ, მეგობრებო, მთავარია, უნივერსიტეტის სული გადარჩეს!!!**

კი გაგვამხნევა მაშინ ამ შეძახილმა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ჩავწვდი მის არსს (ჩვენ ხომ ჩვენი უნივერსიტეტის კედლებიც გვიყვარდა და გვიყვარს დღემდე), დღეს კი, როცა აღარც ჟურნალისტიკის ფაკულტეტია, აღარც არც ერთი კათედრა ან კაბინეტი და, აღარც „ნიკო ნიკოლაძის დიდი ნააზრევის შესწავლის უწყვეტობა“ ამ სანუკვარ კედლებში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტმა ღირსეულად უმასპინძლა მორიგ საიუბილეო თარიღს.

დღეს, 25 სექტემბერს დაგეგმილია ნიკო ნიკოლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ამ საიუბილეო ფორუმის მონაწილეთა შეხვედრა ქუთაისის საზოგადოებასთან, რომელსაც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს.

კონფერენციის დასურვა გაიმართება ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში (დიდი ჯიხაიში).

მართლაცდა, მთავარია, უნივერსიტეტის სული გადარჩეს, სადაც ეს სული ღვივის, უნივერსიტეტიც იქ არის. თუმცა, ბოლოდროინდელი უდაოდ სასიკეთო სიახლეები ჩვენს დედა უნივერსიტეტში იმედს გვინერგავს, რომ სხვადასხვა მიმართულებით გადაფანტული ეს უკვდავი სული კვლავ თეთრ ტაძარში გამთლიანდება...

დიანა ტყებუჩავა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

◎ ტურიზმი

ავიარეისებიც იზრდება და ტურისტთა რაოდენობაც

წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, თითქოს საქართველოს ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის, უცხოურ ფირმებსა და კომპანიებს აღარ იზიდავთ საქართველოს ბიზნესგარემო, იკლო ტურისტთა რაოდენობამ (მათი ზეობის პერიოდთან შედარებით) სწორედ უცხოელები უპასუხებენ ახალ-ახალი შემოთავაზებებითა და გეგმებით.

საქართველოს ავიაბაზარზე შემოსვლას 2 ოქტომბრიდან გეგმავს თურქეთის ყველაზე მსხვილი და შეძლებული ავიაკომპანია **„ატდასჯეტი“.** ის ქართულ ბაზარზე ჩვენი ქვეყნისათვის უპრეცედენტო სერვისს გეგმავს.

თურქეთის ლიდერი ავიაკომპანია 2 ოქტომბრიდან თბილისი-სტამბოლის (და პირიქით) რეგულარულ ფრენებს განახორციელებს. 2014 წლის ზაფხულიდან კი რეგულარული რეისები იგეგმება ანტალიის მიმართულებითაც. ეს ავიაკომპანია თურქეთის შიდა ავიარეისების უმეტესობის გარდა, მიმოფრენას აწარმოებს ევროპისა და აზიის საერთაშორისო რეისებზეც.

თუ **„ატდასჯეტი“** ოქტომბრიდან აპირებს ქართულ ავიაბაზარზე შემოსვლას, აქ უკვე ფეხმოკიდებული **„ეარ კავკასუსი“** არსებულს კიდევ ერთი ავიალაინერის დამატებას უპირებს. ეს ერთ კვირაში მოხდება. წლის ბოლომდე კი მისი ავიაფარეხი საქართველოში 4 თვითმფრინავს დაიმატებს.

„ეარ კავკასუსის“ ხომალდების 80 პროცენტი „ბოინგია“, 20 პროცენტი „ეარბასი“. ეს ავიაკომპანია თვითმფრინავების რაოდენობის გაზრდასთან ერთად სერვისის გაუმჯობესებასაც ცდილობს. ამჟამად ავიაკომპანიას ტექნიკურად უზრუნველყოფენ ესპანეთიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან, უკრაინიდან ჩამოყვანილი კადრები. კომპანიაში ჩათვალეს, რომ უზრუნველყოფის პერსონალის სიმცირისა და დიდი დანახარჯების გამო, მათთვის უკეთესია აქცენტის ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადებაზე გაკეთება, რაც დაწყებულია კიდევაც. ეს სხვადასხვა პროფილის უმუშევრად დარჩენილი ქართველი ავიატორებისათვის დიდი დახმარებაც იქნება.

თბილისი-მინსკის მიმართულებით ავიაკომპანია **„ბელაგიამ“** — უკვე დღის 2 ახალი რეისი დანიშნა ორშაბათსა და ხუთშაბათს. აქამდე მხოლოდ ღამის ყოველდღიური რეისები ხორციელდებოდა.

ყველა ჩამოთვლილი ავიაკომპანია ქართული ბაზრით დაინტერესებას მგზავრთა ნაკადის (ძირითადად ტურისტების) ზრდით ხსნის.

აჭარის ტურიზმის სააგენტოს ცნობით, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ავტონომიურ რესპუბლიკაში წელს 11, 67 პროცენტით მეტი ტურისტი ჩავიდა. ეს განისაზღვრა წლის დასაწყისიდან აგვისტოს ბოლომდე სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტით. საგრძნობლადაა მომატებული რუსი ტურისტების რაოდენობა (60 პროცენტით), გაზრდილია თურქი, აზერბაიჯანელი, პოლონელი, უკრაინელი ვიზიტიორების რიცხოვნობაც (2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).

სააგენტოში მონაცემთა ზრდას სწორად წარმართულ მარკეტინგულ კამპანიას უკავშირებენ. დაინერგა ონლაინ კამპანია, რაზეც შარშანდელთან შედარებით 45-50 პროცენტით მეტი თანხა, ან, 2 მლნ 600 ათასი ლარი გამოიყო. მომავალი წლისათვის მარკეტინგულ კამპანიაზე 3 მლნ ლარი გამოიყოფა. სპეციალისტთა მოსაზრებით აჭარაში ტურისტთა საგრძნობ ზრდას კურორტებით განთქმულ ქვეყანაში ეგვიპტესა და თურქეთში პოლიტიკურმა არამდგრადმა სიტუაციამაც შეუწყო ხელი. მაგრამ, აღნიშნავენ ექსპერტები, თუ სწორად გაგრძელდა მარკეტინგული კამპანია და დამსვენებლისათვის თურქეთსა და ეგვიპტეზე არანაკლები სერვისი იქნა შეთავაზებული პირველად ჩამოსული უცხოელი თუ ქართველი დასვენებას ისევ აქ ამჯობინებს.

თითქმის ყველა საქმეში ჩახედული ადამიანი თვლის, რომ სტინგისა თუ სხვათა კონცერტებში გადაყრილ მილიონებს, ისევ ქართული კურორტების მარკეტინგის კამპანიაში, სერვისის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში ფულის ჩადება სჯობს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

რუსები აფხაზეთის სასაზღვრო ზოლში თავიანთი მოქალაქეების ჩასახლებას გეგმავენ

18-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს თხოვნა გაუგზავნა. არასამთავრობოების განცხადებით, გალის ხუთმხრივი შეხვედრები უნდა აღდგეს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, დღეიდან გალის რაიონში ე.წ. აფხაზური პასპორტების ამოღების პროცესი იწყება, რაც კიდევ უფრო გაართულებს იქ მცხოვრებ ეთნიკური ქართველების ცხოვრებას, მათ შეეზღუდებათ გადაადგილება და ვერ შეძლებენ ზუგდიდის რაიონში გადმოსვლას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ქალები — საკუთარი უფლებების დაცვისათვის“ ხელმძღვანელი ნონა უბილავა აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს ე.წ. სასაზღვრო ზოლზე რუსები ჩაასახლოს და ამ პროცესში მათ ქართველები უშლიან ხელს. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები უარს იტყვიან საქართველოს მოქალაქეობაზე, ისინი შეძლებენ იქ დარჩენას, ხოლო თუ ქართველები ამაზე უარს განაცხადებენ, მაშინ მათ მოუწევთ აფხაზეთის დატოვება და გალის რაიონის ტერიტორიაზე რუსები ჩასახლდებიან.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „ევრაზიის რეგიონის“ სტატუსს ანიჭებენ?

დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთს, შესაძლოა, „ევრაზიული რეგიონის“ სტატუსი მიანიჭონ, ხოლო ამ სტატუსის იურიდიული ჩარჩოები შესამუშავებელია. დნესტრისპირელი „დიპლომატების“ განცხადებით, მსგავსი ინიციატივა რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტებმა წამოაყენეს მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც ევრაზიულ ინტეგრაციას მიეძღვნა.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მიმართ შესაძლოა ასევე გამოიყენონ „ტრანსსასაზღვრო რეგიონის“ სტატუსი, რაც ამ რეგიონებს „ევრაზიული კავშირის“ ეკონომიკურ ზონაში მოაქცევს.

დნესტრისპირელი „დიპლომატების“ განცხადებიდან ირკვევა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ სახელი არსებობს და განსხვავებული სტატუსები იქმნება სეპარატისტული რეგიონების ევრაზიული კავშირის საზღვრებში მოსაქცევად. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „ევრაზიის კავშირში“ სრულფასოვანი წევრის სტატუსით ვერ შევლენ, რადგან რუსეთის გარდა, კავშირის არც ერთი მონაწილე სახელმწიფო, მათს „სუვერენიტეტს“ არ აღიარებს. დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა კი თავად რუსეთსაც არ აქვს აღიარებული.



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა „ევრაზიული რეგიონების“ იდეას „ახალი და ყურადსაღები“ უწოდეს და განაცხადეს, რომ მსგავსი რეგიონები შესაძლოა გაჩნდეს მოლდოვასა და უკრაინაში. კონფერენციაზე ასევე ითქვა, რომ თუ მოლდოვა და უკრაინა ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებას გააფორმებენ, მოსკოვმა ევრაზიული ინტეგრაციის პროცესები უნდა დააჩქაროს.

კონფერენციაზე გადაწყდა, რომ რუსეთის შესამამისი უწყებები შეიმუშავებენ „ევრაზიული რეგიონის“ და „ტრანსსასაზღვრო რეგიონის“ იურიდიულ შინაარსს.

კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მასში მონაწილეობდნენ რუსეთის პრეზიდენტის, მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დუმის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ იდეის ავტორი, რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, სახელმწიფო სტრუქტურაა, რომლის მიზანია „ქვეყნის ხელისუფლების ინფორმირება უშიშროებისა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში“. ამ ინსტიტუტს 2009 წლიდან ხელმძღვანელობს რუსეთის დაზვერვის გენერალ-ლეიტენანტი ლეონიდ რეშეტნიკოვი.

News.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაზღვრა, რა არის „კარგი“ და რა არის „ცუდი“

საქართველოს პარლამენტი უახლოეს დღეებში მოაწყობს კენჭისყრას ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლებსაც სთავაზობს შინაგან საქმეთა სამინისტრო და რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის მოქალაქეთა ქცევის წესებს. ცვლილებების შეტანის შემდეგ კოდექსი უმალვე შევა ძალაში და საჯაროდ უღირსი საქციელისთვის დამნაშავე დაისჯება სოლიდური ფულადი ჯარიმით ან დაპატიმრებით 15 დღით.

საჯაროდ უღირსი საქციელისა და სექსისთვის დაგაჯარიმებენ და 15 დღით დაგაპატიმრებენ

ინიციატივის შეტანამდე შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, თუ, კერძოდ, რა იგულისხმება „საზოგადოებრივი მორალისთვის უღირს საქციელად“. როდესაც ივლისის დასაწყისში სამინისტრომ განაცხადა თავისი ჩანაფიქრის შესახებ, ამან ბევრი შეკითხვა გამოიწვია. მაგალითად, შეიძლება თუ არა ხალხის წინაშე კოცნა შეყვარებულებისა, ანდა უნდა დაემშვიდობონ თუ არა ადგილობრივ ტრადიციებს მეზობელთა შეკრების შესახებ და წარმოთქვან თუ არა სადღეგრძელოები თავიანთი სადარბაზოების წინ ეზოში.

საზოგადოებრივი მორალის შეურაცხმყოფელი მოქმედებისთვის პირველად დამრღვევებს დააჯარიმებენ 200 ლარით. განმეორებითს შემთხვევაში — 2,5-ჯერ უფრო მეტით. და თუ ამანაც არ გაჭრა, შემდგომი დასჯა — ესაა დაპატიმრება 15 დღე-ღამით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ზვიად ოქროპირიძის განმარტებით, აკრძალვაში, კერძოდ, ხვდება სექსუალური ხასიათის გამომწვევი მოქმედება საჯაროდ. მაგალითად, ნაწილობრივი ან სრული გაშიშვლება, სასქესო ორგანოების დემონსტრირება.

— არავის მოეწონება, თუ მის მახლობლად ქუჩაში ან ტრანსპორტში დაიწყებენ რაღაც სასიყვარულო მოქმედებებს... , — თქვა ოქროპირიძემ. არ შეიძლება აგრეთვე „თავი გავითავისუფლოთ“ საზოგადოებრივ ადგილებში. კოცნა კანონით არ დაისჯება.

საქართველოს მეღვინეობის ტრადიციის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდხანს ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ მოეწესრიგებინათ სპირტიანი სასმელების სმა. შედეგად გადაწყდა, დასაჯონ ისინი ამ სასმელების გამოყენებისთვის სტადიონზე, პარკებსა და სკვერებში.

— შეიძლება ვიღაცას არ მოსწონდეს გაშლილი სუფრები ეზოებში, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ საზოგადო ინტერესი და კანონით ეს არ აიკრძალება, — გვაცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკმა.

ამ დროს უკვე მოქმედებს სანქციები სავაჭრო წერტილებისთვის, რომლებიც აწესრიგებენ სპირტიანი სასმელების მიყიდვას არასრულწლოვანებისთვის. თუ გამოვლინდება ერთეული შემთხვევა, უნდა გადაიხადო 100 ლარი. თუ დარღვევა იქნება მასობრივი — ათჯერ მეტი.

დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ნაციონალური აკადემიის“ ახალგაზრდულ საკითხთა ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის გიორგი ლილუაშვილი შემოღებულ სანქციებს აბსურდულს უწოდებს.

— ეს არ იქნება ეფექტიანი, — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში. — საზოგადოებამ თავად უნდა მოაწესრიგოს, თუ რა არის კარგი ქცევა და რა არა.

ამავე დროს ლილუაშვილი აკრიტიკებს წინა ხელისუფლებასაც, რომელიც „ლამის პროპაგანდას უწევდა თავაშვებულობას ახალგაზრდებს შორის“: „სადამდე მიგვიყვანა ამან? აი მკვეთრად გაიზარდა ადრეული ფეხმძიმობის რიცხვი. საქართველოში, მისი ოჯახური ტრადიციების თანახმად, ასეთი რამ უპრეცედენტოა“.

ჯერჯერობით ქცევის ნორმები კანონით არ არის განსაზღვრული, ვიღაცა ჩქარობს მათ დარღვევას. ცნობილმა პუბლიცისტმა ირაკლი კაკაბაძემ, რომელიც უკმაყოფილოა იმით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამმართველოში შეინარჩუნეს პოზიციები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, მოიტანა მიტინგზე ტელეკომპანიის შენობასთან ცელოფანის პაკეტებში ფაკელიები და აბნევდა მახლობელ ტერიტორიაზე. „ფუნა — თქვენ, თქვენ ფუნა დაიმსახურეთ!“, — ყვიროდა კაკაბაძე.

ამჟამად ჯარიმა მორალური ნორმების დარღვევისთვის საჯაროდ საქართველოში არ არსებობს. ამით უკმაყოფილონი ხშირად იხსენებენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, თუ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც შავ ზღვაზე ახალგაზრდულ ბანაკში იმყოფებოდა, სკოლის მოსწავლეებთან საუბარში როგორ იხუმრა: „თქვენ თვითონ იცით, რა უნდა გააკეთოთ, შეხედეთ, რამდენი ბუჩქებია ირგვლივ“.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

მეცნიერებმა ალმოაჩინეს უცნაური მორევები, რომლებიც კოსმოსურ შავ ხვრელებს ჰგავს მსოფლიო ოკეანეში

ღრმულები, რომლებიც თავისი მოცულობით მთელ ქალაქს შეიძლება აჭარბებდეს კიდეც, იმდენად მჭიდროდ არის შემოფარგლული წყლის ნაკადებით, რომ თავის სიღრმეში იწოვენ ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებათ. ექსპერტებმა მათემატიკური გზით განსაზღვრეს, რომ ეს გრიგალები თავისი ძალით ექვივალენტურია კოსმოსში შავი ხვრელების მოქმედებისა. მიღებული შედეგები დაგვეხმარება, განვსაზღვროთ მათი გავლენა ტემპერატურაზე მსოფლიო ოკეანეში, აგრეთვე მისი დაბინძურების მიზეზები.

* * *

ნაირობის სამაჭრო კომპლექსში მოკლეს კიდევ ექვსი ტერორისტი. მიდის დავები თავდასხმაში „თეთრი ძვრის“ მონაწილეობის შესახებ

ადრე კენიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ყველა მძევალი გათავისუფლებულია და რომ სამხედროები ასუფთავებენ შენობას, რომელზეც დაწესებულია სრული კონტროლი. კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა ამინა მუჰამედმა განაცხადა, რომ თავდასხმაში მონაწილეობას ღებულობდნენ უცხოელები, მათ შორის „ორი ან სამი ამერიკელი“, რომელთა ასაკიც 18-19 წელია, და ბრიტანელი ჯიჰადისტი ქალი.

* * *

მექსიკას თავსდატეხილმა შტორმმა 120-ზე მეტი კაცი შეიწირა

დაახლოებით 60 ათასი მცხოვრები ევაკუირებულია სახიფათო ზონებიდან და განთავსებულია დროებით საერთო საცხოვრებელში. საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულია ქვეყნის 14 შტატის ტერიტორიებზე. მთლიანად 25 შტატი დაზარალდა. ხელისუფლებამ უკვე გაავრცელა გაფრთხილება, რომ სახსრები სპეციალური ფონდიდან ბუნებრივი უბედურების შედეგების ლიკვიდაციისთვის საკმარისი არ არის.

* * *

დიდმა ბრიტანეთმა და ირანმა დაიწყეს მოლაპარაკება ურთიერთოგბათა ნორმალიზაციის შესახებ

ამჟამად ორი ქვეყანა ფაქტობრივად არ უჭერს მხარს დიპლომატიურ კოტაქტებს: ლონდონმა საელჩო თეირანში დაკეტა ჯერ კიდევ 2011 წლის ნოემბერში, სტუდენტთა ჯგუფის დიპლომატიურ წარმომადგენლებზე თავდასხმის შემდეგ. ამ დროს იაპონიამ განაცხადა, რომ მზად არის დაეხმაროს ირანს დასავლეთთან დიალოგის მოწესრიგებაში.

ლიტერატურული პრემია „საბა“

ახალი ლაურეატები

23 სექტემბერს, გვიან საღამოს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თიბისი ბანკის თავკაცის მამუკა ხაზარაძის მიერ დაფუძნებული ლიტერატურული პრემია „საბას“ ახალი ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია.

გამარჯვებულები გახდნენ:

წლის საუკეთესო პოეტური კრებული – **ლია სტურუა „დავიწყების დღე“** (გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“);

წლის საუკეთესო პროზაული კრებული – **ირაკლი სამსონაძე „შემკრთალი ქუჩა“** („ინტელექტი“);

წლის საუკეთესო რომანი – **ნაირა გელაშვილი „მე ის ვარ“** („კავკასიური სახლი“)

წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი – **მარინა ელბაძიძე „გაცვლა“** („დიოგენე“);

წლის საუკეთესო პიესა – **ალეძს ჩიღვინაძე „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“** („სიესტა“);

წლის საუკეთესო თარგმანი – **ზაზა ჟილაძე „იულიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“,** („დიოგენე“);

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – **ელგუჯა თავბერიძე – „კოლიმგრაფი“** („საგამომცემლო ცენტრი“);

წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა – **გიორგი მაისურაძე „დაკარგული კონტექსტები“** („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“);

ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი – **ნათია მიძელაძეს, თამთა მელაშვილის „გათვლის“** გერმანულ ენაზე თარგმნისათვის!

პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა **ზურაბ კიკნაძეს.**

ჟიურის წევრები იყვნენ **გივი შაჰნაზარი, მანანა ღარიბაშვილი, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია.**

ეს „საბას“ მეთერთმეტე დაჯილდოება იყო.

„დაკნინებული“ რუსთაველი და „ამაღლებული“ საბა!..

რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება ერთი სიხარული იყო, რუსთაველის პრემიის აღება – ერთი სიამაყე! კი, იყო ასეთი წლები, იყო ასეთი დღეები!.. ჰაი, ჰაი, რომ ყველაფერი გაფერმკრთალდა და გაუბრალოვდა – ამ ორი თვის წინათ ჩვენმა მიშიკომ ასე ვთქვათ, იმდენ მწერალს ჩამოურიგა რუსთაველის პრემია, გვარებიც აღარ გვახსოვს მათი.

რუსთაველის პრემია, ხალხო, რუსთაველის პრემია!..

შევყურებდი გუშინწინ ღამით 2013 წლის **„საბას“** პრემიის ლაურეატების დაჯილდოებას ტელევიზიით, შევხაროდი ბევრი ჩემი ნაცნობ-მეგობრის გამარჯვებას – პრემიის მიღებას, მაგრამ თან ეს მიტრიალებდა თავში: **რატომ ჩაატარე, ამ ორი თვის წინათ, მიშიკო, რუსთაველის პრემიის დაჯილდოების ცერემონია ასე უფერულად?**

კი, ბატონო, მამუკა ხაზარაძეს და „თიბისი“ ბანკს ვინ შეედრება, მათ დააფუძნეს ეს პრემია, არ ენანებათ თანხა ლაურეატებისთვის... რა სჯობდა, ბრწყინავდა რუსთაველის თეატრი, სიხარული იდგა დარბაზში და სცენაზე, აჯილდოებდნენ გამარჯვებულთ!..

ძალიან კარგი, კი ბატონო, ვის ეკუთვნოდა და ვის არა ეს პრემია, ამაზე აღარაფერს ვამბობთ!.. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა გითხრათ, პრეზიდენტო, რომ რუსთაველის ქვეყანაში, რუსთაველის პრემია, თუნდაც იმის გამო, მომავალმა თაობამ შეიგნოს, „ვეფხისტყაოსანი“ რომ ჩვენთვის ყველაფერია, თუნდაც მილიონი დაგეხარჯათ სახელმწიფო ხაზინიდან, უნდა გაგებრწყინებინათ ეს უნიკალური ფაქტი.

თუმცა, რაღა დროის შენი დარიგებაა – გასაქცევად ხარ გამზადებული. მე იმის გასაგონად ვამბობ, ვისაც მომავალში მაინც (პრეზიდენტობის დროს), არაფერი შეეშალოს, – „ქიციც იცოდეს და ქიცმაცურიც“, რუსთაველის პრემიის ლაურეატთა სახელი, ქვეყანას მოსდოს, რადგან მომავალმა იამაყოს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ თემის გაგრძელება

სილვიო ბერლუსკონი რომ პედერასტი ყოფილიყო...

საბგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება, რომ სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ სხდომაზე ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთი სკანდალური (ჩემი აზრით – დ.მ.) განცხადება გააკეთა!

ალბათ კარგად მოგეხსენებათ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის დუმამ მიიღო კანონი რუსეთის ფედერაციაში, ჰომოსექსუალობის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, „განათლებულ-დემოკრატიულმა“ დასავლეთმა პედერასტების დისკრიმინაციად აღიქვა იგი და სადაც არ უნდა ჩავიდეს რუსეთის პრეზიდენტი, ჟურნალისტები და თვით მასპინძელი ქვეყნების ლიდერებიც, ერთხმად საყვედურობენ პედერასტების მჩაგვრელ რუსეთის ვაჟკაცს პრეზიდენტს!

აბეზარი ლიბერალი ჟურნალისტების კითხვებზე ისეთ სუსხიან პასუხებს იძლევა ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი, რომ სრულიად პლანეტა დედამიწის პედერასტებს უკანალების კონვულსიები ეწყებათ!

მაგრამ, ახლა, „ვალდაის“ შეკრებაზე, სადაც ასევე წამოწიეს რუსეთის მიერ მიღებული ანტიპედერასტული კანონი, ვლადიმერ პუტინმა დაუფარავი სარკაზმით უპასუხა: ვციტირებ – **„ბერლუსკონის იმისთვის ასამართლებენ, რომ ის ქალებთან ცხოვრობს. იგი რომ ჰომოსექსუალი ყოფილიყო, მას თითსაც არავინ დააკარებდა“!**

ძნელია უფრო ზუსტი აქცენტის გაკეთება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე – მიმდინარეობს მთელი „ცივილიზებული სამყაროს“ მოდერნიზაცია, ანუ, პედერასტიზაცია! სამყაროს, რომელიც ვერასოდეს გახდება რეალურად მრავალპოლუსიანი – ის დღესაც ორპოლუსიანია და არა მხოლოდ სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ზნეობრივითაც – ერთზე – უზნეობის, სატანიზმის, სოდომ-გომორის პოლუსზე – აშშ-ის მეთაურობით მთელი „დემოკრატიული დასავლეთი“ ეწევა პედერასტობის კულტივირებას, მეორე პოლუსზე კი, საბედნიეროდ რუსეთი დგას, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანობის ბურჯი. შესაბამისად მსოფლიოს სოდომიზაციის წინააღმდეგი ბირთვული (!!!) ზესახელმწიფო!

„განათლებულ“ ევროპაში უკვე არათუ უკვირთ, კარგ ტონადაც ითვლება, რომ ქალაქების მერები, საგარეო საქმეთა მინისტრები, პარლამენტების დეპუტატები „გაქანებული“ პედერასტები არიან.

ბარაკ ობამა ის პრეზიდენტია, რომელმაც აშშ-ის ჯარში პედერასტების მსახურება ოფიციალურად დააკანონა, ხოლო ამერიკის მთავარ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად პედერასტების უფლებების დაცვა გამოაცხადა მთელი მსოფლიოს მასშტაბით!

ასე რომ, რუსეთი არა მხოლოდ სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით არის ამერიკის ყანყრატოში გაჩხერილი ძვალი, არამედ გლობალურ პედერასტიზაციასაც ეწინააღმდეგება! ამიტომ, ევრაზიული კავშირი თუ არ გვინდა (???), რუსეთის ეგიდით ანტიპედერასტულ კავშირს მაინც მივუერთდეთ!

საბრალო სილვიო – რა იყო შე კაცო, ქალების სიყვარული რომ ვერ ამოიგდე გულიდან? მაგას მართლა პედერასტი ყოფილიყავი, არ გერჩივნა? ახლა ციხეში კი არა, კვლავ იტალიის პრემიერი იქნებოდი და მსოფლიო „დემოკრატიის“ ერთ-ერთი ლიდერიც...

დავით მხეიძე

◎ მეამაყება!..

თბილისელი კარლსონები და პორტუგალიელი ფრენკენ ბოკი

ბევრჯერ დამიწერია, რომ მეტად უცნაური ქვეყანაა საქართველო, იმდენად უცნაური, რომ აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

დიახ, სწორედ საქართველოშია შესაძლებელი, რომ კორუფციულად „მოღვაწე“ დედაქალაქის მერი თავის კაბინეტში იბარებდეს თავისი „დამსახურებების“ შემსწავლელ გამომძიებლებს. სწორედ, საქართველოშია შესაძლებელი, რომ პარლამენტის წევრმა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში განაცხადოს, ვიცოდი, რომ ციხეებში ხალხს სცემდნენ და აწამებდნენ, მეც ვიცოდი, ყველამ ვიცოდით მაგრამ არაფერს არ ვაკეთებდით, ანუ იურიდიული ტერმინოლოგიით რომ ვთქვა, დანაშაულს ვფარავდითო. მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი, რომ მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი ყოფილი პრემიერ-მინისტრი სოციალურ ქსელ ფეისბუქში ავრცელებდეს განცხადებას და სწუხდეს იმაზე, რასაც საკანში ქალს აკადრებენ. მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი, რომ პრეზიდენტი ასტრიდ ლინდგრენის კარლსონივით დაფრინავდეს, მურაბას ჭამდეს და მისი ბიჭუნები კი ფულს უხდიდნენ ევროპარლამენტარ ფრენკენ ბოკერს.

ჰო, რაც შეეხება ევროპარლამენტარ ფრენკენ ბოკს, ანუ, ერისქალობაში ანა გომესს: ამ ქალბატონმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს მოუწოდა, რომ ა**ლაგმოს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელ ირმა ინაშვილისა და მისი გუნდის ექსტრემისტული საქმიანობა.**

დიახ, სეპარატისტული საქმიანობა!

გეფიცებით, როცა ეს ინფორმაცია გავიგე და ქალბატონ გომესის ფრაზა: „შეაჩერეთ ირმა ინაშვილი და მისი გუნდი, ისინი ექსტრემისტები არიან, ვანო მერაბიშვილი – კი პოლიტპატიმარი“. წავიკითხე, გულიანად გამეცინა და ცოტა სიამაყითაც აღვივსე, რადგანაც მე, გია გაბრიჭიძე, ირმა ინაშვილის გუნდის წევრი ვარ და ევროპარლამენტარის მიერ ასეთი „აღიარება“ ჩემს პატივმოყვარეობას „თხლად“ მოესალმუნა, მაგრამ როცა დავფიქრდი და ოდნავ სერიოზულად შევხედე ამ მოწოდებას, არც თუ ისე შორეული წარსულიდან რაღაც-რაღაცეები გამახსენდა.

გამახსენდა, თუ როგორ ეძახდა პრეზიდენტი სააკაშვილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფაშისტურ გამოცემას. გამახსენდა, თუ როგორ ეძახდნენ გიგა ბოკერია და ზურაბ ჯაფარიძე მედიაკავშირ „ობიექტივს“ ფაშისტურ ტელევიზიას. გამახსენდა, თუ როგორ მოითხოვდნენ

ნაცდეპუტატები ირმა ინაშვილისა და მისი გუნდის წევრების დაპატიმრებას. გამახსენდა ის უამრავი ბარიერი, რომელსაც ისინი უქმნიდნენ ნამდვილ თავისუფალ სიტყვას და ქალბატონ ევროპარლამენტარის პათოსში ნაცელიტის გულისძახილი დავინახე.

ბუნებრივია, გამიჩნდა რამდენიმე შეკითხვა, მაგრამ სანამ ამ შეკითხვებს დავსვამ, მინდა შემოგთავაზოთ ანა გომესის განცხადების სრული ტექსტი. **„ქალბატონო მინისტრო, თქვენ ჩამობრძანდით ძალიან ლამაზი და კარგი ქვეყნიდან, დიდი კულტურის და ცივილიზაციის მქონე ქვეყნიდან, მაგრამ მე მინდა, რომ თქვენ პასუხისმგებლობა აიღოთ და როგორც იუსტიციის მინისტრმა, შეაჩეროთ ის ელემენტები, რომლებიც ასე უშლიან ხელს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.**

მე მინდა, რომ გააჩეროთ, ასევე, ექსტრემისტული ჯგუფები... მაგალითად, არის ასეთი ადამიანი... ირმა... ირმა... ირმა ინაშვილი... და მისი ჯგუფი, რომლებიც ხელს უშლიან თქვენი ქვეყნის წინსვლას.“

ახლა კი ის შეკითხვები, რომლებიც დამებადა:

1. მედიაკავშირ „ობიექტივის“ რამდენი გადაცემა აქვს ნანახი ქალბატონ გომესს?

2. კონკრეტულად რა გადაცემების ხილვის შემდეგ დარწმუნდა ქალბატონი გომესი ჩვენს ექსტრემისტობაში?

3. ვინ ურჩია ქალბატონ გომესს, გადაერთო თავისი ტელევიზიორი „ობიექტივზე“?

ბუნებრივია, რომ ამ კითხვებზე პასუხი არ იქნება. არ იქნება, რადგანაც პასუხის გამცემი არც ქალბატონი გომესია და არც ნაცელიტა. მაგრამ იმისათვის, რომ თქვენ თავად გააკეთოთ დასკვნები, რამდენიმე ინფორმაციას შემოგთავაზებთ.

ანა გომესი პორტუგალიელია. ის ევროპარლამენტარია. წარმოადგენს სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესულ ალიანსს. 17 ივლისს, სხვა რამდენიმე ევროპარლამენტართან ერთად, გომესი იმყოფებოდა საქართველოში. მან შინაგან საქმეთა მინისტრი ბაროზოს შეადარა.

ანა გომესი ცნობილია, როგორც მიხეილ სააკაშვილთან უშუალოდ დაკავშირებული ევროპარლამენტარი, ანუ რეჟიმის ერთ-ერთი ფასიანი ლობისტი, რომელიც იბრძვის ვანო მერაბიშვილის გასათავისუფლებლად. მერაბიშვილი გომესისთვის პოლიტპატიმარია.

ყველასათვის ცნობილია, რომ კავშირი ნაცელიტასა და მათ ევროპელ ლობისტებს შორის დეპუტატ გიორგი კანდელაკის მეშვეობით ხორციელდება. ირმა ინაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა ანა გომესის ამ განცხადებას და პირდაპირ კურიერ გიორგი კანდელაკს მიმართა.

„აი, ეს პოლიტიკური ნახევარფაბრიკატი ერთ-ერთი ვირთხაა იმათგან, ვინც ჩემზე და ჩემს გუნდზე ევროპარლამენტარებს დეზინფორმაციას აწვდის. შემსრულებელი ვირთხაა. ახლა, ბატონო კანდელაკო, თარგმნე ეს კომენტარი და გაუგზავნე გომესს და სხვა გომესებს, რომ „ექსტრემისტი“ – ჟურნალისტისგან ჩაგრულ დისიდენტად“ წარმოაჩინო თავი. გარწმუნებ, ჩვენი პოლიტიკური მეგობრები სტრასბურგში, ბრიუსელსა და ვაშინგტონში, ასევე, თელავივში იმდენად გავლენიანი პირები არიან, რომ... უბრალოდ, ვერ მოგვერევით და სასაცილო მდგომარეობაში იგდებთ თავს. ჩვენი შეხვედრა ევროპარლამენტის მაღალჩინოსანთან, რის გამოც გომესი გააცოფეთ, არ ჩაიშლება“.

მეტი რაღა უნდა ვთქვა იმის გარდა, რომ მეამაყება იმ გუნდში ყოფნა, რომელსაც მერაბიშვილის დამცველი, კანდელაკის ჩატანილი ფულებით გასუქებული ანა გომესი ექსტრემისტებს უწოდებს. მეამაყება იმ გუნდში ყოფნა, რომელსაც სააკაშვილი, ბოკერია, ჯაფარიძე და ძმანი მათნი ფაშისტებს უწოდებენ.

ნამდვილად მეამაყება!

გია გაბრიჭიძე

◎ ძალოსნობა

დებიუტი — სამი მედლით

ძუთაისელმა ათლეტმა შოთა მიშველიძემ (69 კგ) ესტონეთის დედაქალაქში მიმდინარე ახალგაზრდა ძალოსანთა (20-წლიანებში) ევროპის პირველობაზე სამი მედალი მოიპოვა — ატაცში 143 კილოგრამით მცირე ოქრო ერგო, 165 კილოგრამით აკვრაში მეორე იყო და ორჭიდის ჯამში 308 კილოგრამით დიდი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ჩვენებურს კილოგრამით აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა აზერბაიჯანელი ელხან ალიგულიზადე (309=135+174). 286 კილოგრამით (130+156) ბრინჯაო ვლადიკ კარაპეტიანს (სომხეთი) ხვდა. 62 კილოში რამინ შამილიშვილმა (აჭარა) ორჭიდში 248 კილოგრამით (113+135) მე-8 ადგილი დაიკავა. ევროპის პირველობაზე ასევე იასპარეზებენ: 20-წლიანებში — ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე, 77), ზურიკო თავაძე (ქუთაისი, 77), ვილიამინ ალექსიძე (აჭარა, 105), ლაშა ტალახაძე (საჩხერე, (+105) და 23-წლამდელებში გიორგი ლომთაძე (ქუთაისი, 77).

გივი გაგუა

◎ ფიგურული ციგურაობა

18 წყვილი - 5 საგზურისთვის

ობერსტდორფში (გერმანია) ფიგურულად მოციგურავეთა დიდი საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი დაიწყო, სადაც 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება. წყვილთა ცეკვებში სპორტსმენები 5 ლიცენზიისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მოასპარეზეთა შორის იქნება ოთარ ჯაფარიძისა და ანგელინა ტელეგინას დუეტი. ქართველმა ტანდემმა წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მე-20 ადგილი დაიკავა. 26 წლის ოთარ ჯაფარიძე ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის, ორი მსოფლიოს და სამი ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა სხვადასხვა პარტნიორთან ერთად, ტელეგინასთან კი წყვილში 2012 წლის მაისიდან ვარჯიშობს ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონ ევგენი პლატოვისა და ქორეოგრაფ ჟანა პალაგინას დახმარებით. ამ შეჯიბრებისთვის მათ ახალი პროგრამა, მუსიკა შეარჩიეს.



და მთელი ზაფხული წვრთნა არ შეუწყვეტიათ. 1-2 აგვისტოს ლეიკ პლესიდში (ნიუ იორკის შტატი) დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ოლიმპიური საგზურებისთვის მათი მომავალი კონკურენტებიც მონაწილეობდნენ, მოცეკვავეთა 15 წყვილს შორის მოკლე პროგრამით მე-10, თავისუფალი პროგრამით კი მე-3 ადგილი დაიკავეს, 11-14 სექტემბერს ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით სოლთ ლეიქ სითიში (აშშ) გამართულ შეჯიბრებაში მე-11 ადგილზე გავიდნენ. ობერსტდორფში 18 მოცეკვავეთა დუეტი სოჭის თამაშების 5 საგზურისთვის იბრძოლებს. მართალია, მძაფრი კონკურენცია იქნება, მაგრამ ოთარ ჯაფარიძეს და ანგელინა ტელეგინას სჯერათ, რომ მიზანს მიაღწევენ — ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებენ. ტურნირზე მოცეკვავე წყვილები 26 სექტემბერს მოკლე პროგრამით, 28 სექტემბერს კი თავისუფალი პროგრამით იასპარეზებენ.

ვაჟა ნოსირელი

◎ ფარიკაობა

80 მუშკეტერის მონაწილეობით

თბილისის ფარიკაობის დარბაზში დედაქალაქის, რუსთავის, ქუთაისისა და ზესტაფონის 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა საქართველოს თასის გათამაშებაში. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა უძლიერესი მუშკეტერი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელ ჩემპიონ სანდრო ბაზაძეს ჯერ ტრავმა არ მოშუშებია, რუსთაველი მარიამ ცუხიშვილი საკუთარი სახსრებით გაემგზავრა მანჩესტერში (ინგლისი) 16 წლის რაპირისტთა ევროპის თასის ეტაპზე. შეჯიბრებაში საქართველოს მოხმალავეთა ნაკრების წევრი საბა სულამანიძეც არ ჩაბმულა. მიზეზი ასპარეზობის ორგანიზატორებმა ვერ გვითხრეს.

შარშან ხმალში საქართველოს თასი ქუთაისელმა სანდრო ბაზაძემ მოიპოვა: ნახევარფინალში ძმას — ბექას აჯობა, ამჯერად კი ბექა ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — გადამწყვეტ პაექრობაში თანაქალაქელი მიხეილ მარდალეიშვილი დაამარცხა 15:11. გოგონებში ტოლი არ ჰყავდა ქრისტინე ნოზაძეს, რომელმაც ელენე ნანობაშვილი (ორივე-თბილისი) დაჯაბნა — 15:6.

რაპირაში თასი შეინარჩუნა არჩილ უგულავამ — ლუკა ღაღანიძეს სძლია - 15:10. გოგონებში თეონა გოგლიძემ, რომელიც ლუკა ღაღანიძესთან ერთად ნოტრდამის (აშშ) უნივერსიტეტის მოფარიკავეთა კლუბის მთავარი მწვრთნელის გია კვარაცხელიას მიწვევით იმყოფებოდა ამერიკაში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე, ფინალში ნუცა იაგორაშვილს (ოთხივე-თბილისი) მოუგო — 15:11.

დაშნაში გოგონათა შორის ქუთაისური ფინალი ვიხილეთ — ქრისტინე მიქაძემ მარია ზაკირჩენკოს აჯობა 15:11, ხოლო ვაჟებში

დავით ელბაქიძემ (თბილისი) დავით არველაძე (ქუთაისი) დაამარცხა — 15:12.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: მარცხნიდან — ბექა ბაზაძე, თეონა გოგლიძე, ქრისტინე ნოზაძე, ქრისტინე მიქაძე, დავით ელბაქიძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ რაგბი

სათავეშია კვარტეტი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. დაძაბული გამოდგა ტრადიციული მეტოქეების — ქუთაისის „აიას“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ორთაბრძოლა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს — რიონისპირელთა მგეზავმა სინაურიძემ არეკნით „აია“ დააწინაურა — 3:0.

ამის შემდეგ პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ფრედ (9:9) დამთავრდა. პაექრობას სიმწვავე არც შესვენების შემდეგ მოჰკლებია, თუმცა რკინიგზელები ოდნავ უკეთ გაისარჯნენ და მატჩიც მოიგეს — 15:12.

წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „არმაზი“ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ „ჯიქებს“ დაუპირისპირდა. შარშან პლეი ოფის პირველ რაუნდში ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა „ჯიქებმა“ მარცხი იწვნია. ამჯერად იგი სარევანშოდ იყო განწყობილი და მიზანსაც მიაღწია — 25:23 გაიმარჯვა.

„ყოჩები“ და „აკადემია“ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ. ამჟამად ვითარება შეიცვალა. „ყოჩები“ ბოლნისის მუნიციპალიტეტმა შეიფარა, გუნდი გაძლიერდა და უწინდელი ტრადიციების დასაბრუნებლად იბრძვის. ტურნირის სტარტზე ქვეყნის ჩემპიონი „ლელოც“ კი დაამარცხა. „ყოჩებს“ არც მე-3 ტურში შეურცხვენია თავი — უწინდელივით მძიმე მდგომარეობაში მყოფ „აკადემიას“ 16:9 აჯობა და ლიდერებში ადგილი შეინარჩუნა.

„ლელომ“ რუსთავის „ხარებს“ უმასპინძლა და 37:16 დაამარცხა. „არმიისა“ და „ბათუმის“ მატჩი გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ „ყოჩებმა“, „არმაზმა“, „აიამ“ და „ლელომ“ 10-10 ქულა მოაგროვეს, მომდევნო ადგილებზე მოდიან: „არმია“-9, „ლოკომოტივი“-8, „ჯიქები“ — 7, „ხარები“ — 1, „აკადემია“ — 1, „ბათუმი“ — 0 ქულა.

ლაშა დიდია

◎ ტრიუმფის შემდეგ

ვინსენ კოლეს ტიტული დაუფასეს

საფრანგეთის საკალათბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვინსენ კოლეს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატება დაუფასეს. ფრანგ სპეციალისტს ნაკრებში კონტრაქტი ევროპირველობის შემდეგ უმთავრდებოდა, თუმცა საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, მწვრთნელს კონტრაქტს 2016 წლის ოლიმპიადის ჩათვლით გაუხანგრძლივებენ.

„ვინსენ კოლემ საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონის ტიტული პირველად მოაგებინა. ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით: თუ ნაკრები წარმატებას მიაღწევდა, მას კონტრაქტს გავუხანგრძლივებდით. წინა ევროპირველობასა და ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ ჩვენ ევროპის უმაღლესი ტიტული მოვიგეთ. ვიმედოვნებ, კოლესთან ერთად 2016 წლის ოლიმპიადის ჩათვლით წარმატებულ სვლას გავაგრძელებთ“ — განაცხადა ჟან პიერ სიუტამ.

50 წლის ფრანგი სპეციალისტი ვინსენ კოლე საფრანგეთის ნაკრებში 2008 წლიდან მუშაობს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ აბა, რა ეგონა?

კლოპს სასჯელი ელის

დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპს უეფასგან დისკვალიფიკაცია ელის.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩის მსვლელობისას, რომელშიც „დორტმუნდი“ იტალიურ „ნაპოლისთან“ 1:2 დამარცხდა, 46 წლის გერმანელი სპეციალისტი არაადეკვატურად იქცეოდა. კერძოდ, იმ მომენტში, როდესაც მისმა გუნდმა გოლი გაუშვა, სათადარიგო მსაჯს მიეჭრა და უშვერი სიტყვებით გამოლანძღა.

კლოპი თვლიდა, რომ მსაჯები მის ფეხბურთელს, რომელიც მანამდე ტრავმირებული იყო და მოედანს მილმა მკურნალობდა, დაბრუნების საშუალებას დიდი ხნის განმავლობაში არ აძლევდნენ. სწორედ ამ პერიოდში გავიდა გოლი. თუმცა, მატჩის დასრულების შემდეგ მწვრთნელმა საკუთარი დანაშაული აღიარა და მსაჯებს მოუბოდიშა.

მიუხედავად ამისა, გერმანული პრესა ირწმუნება, რომ უეფა კლოპს სასჯელს უმზადებს და ჩემპიონთა ლიგის, მინიმუმ, ერთი თამაშის გამოტოვება მოუწევს. ანუ „მარსელთან“ 1 ოქტომბერს გასამართ მატჩში იურგენი საკუთარი გუნდის სათადარიგოთა სკამზე ვერ დაჯდება და ვერც შესვენებისას ჩავა გასახდელში. აღსანიშნავია, რომ „ნაპოლისთან“ თამაშის შემდეგ კლოპი გერმანელმა ჟურნალისტებმაც გააკრიტიკეს — ისინი აცხადებდნენ, რომ მწვრთნელის საქციელი ქვეყანას არცხვენს და პრობლემებს უქმნის.

გიორგი ზოთაძე

◎ წიგნი

გესაუბრეთით!



გამოვიდა ლონდა მდივანის წიგნი „გესაუბრეთით“, რომელიც „ნეკერმა“ დასტამბა. წინათქმაში ავტორი მკითხველს მიმართავს: „მინდა გესაუბროთ, საუბარი ხომ მსმენელისადმი მოწიწებით, სიდარბაისლით არის დატვირთული. სამწუხაროდ, ჩვენ გვიჭირს სხვისი მოსმენა, ხშირად ერთმანეთს არ ვუსმენთ. საოცარია, ადამიანებმა შექმნეს ეგვიპტის პირამიდები, ალექსანდრიის შუქურა, როდოსის კოლოსი, ათენის პართენონი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, არტემიდეს ტაძარი, სემირამიდას ბაღები, კოლიზეუმი, ჩინური კედელი, ტაჯმაჰალი და მრავალი სხვა საოცრება... დაშალეს ატომი, შექმნეს ფარდობითობის თეორია, ფილოსოფიური სკოლები, გვესაუბრებიან მუსიკის, ხუროთმოძღვრების, ფერწერის, ქანდაკებების დიდებული ნიმუშებით. გამოიგონეს ინტერნეტი, მაგრამ ვერ შეძლეს ერთმანეთის მოსმენა, საუბარი. რატომ? ჩვენ ხომ საუბარში ვერთიანდებით!“ — წერს ლონდა მდივანი და იქვე დასძენს: „ჩვენ ვართ საუბარი“ — აღნიშნავდა ჰაიდეგერი.

საუბარი კი შეიძლება მწარეც იყოს და კეთილიც... ყველაზე მეტად საუბრისას გვმართებს ერთმანეთის მოფრთხილება, რომ ადამიანების კამათი სავალალო შედეგებით არ დასრულდეს.

ლონდა მდივანი ამ წიგნით ყველაზე სათუთ და ლამაზ განცდებზე დაგვაფიქრებს, რათა ადამიანებმა სიკეთის სურვილი არ დავკარგოთ. გაგვახსენებს, რა დიდებული სიტყვაა „მადლობა“, რაოდენ ძნელი სატარებელია ის ჯვარი, თითოეულ ჩვენგანს რომ გვებოძა, რომ ცრემლში სიცილი ბედნიერი იშვიათობაა... რომ დედის კამოდს იშვიათი სურნელი აქვს, ხოლო სარკე მუდამ იდუმალების მაცნეა.

რისი მაუწყებელია კუბოების გვერდით აკვნები?... „სიკვდილი და სიცოცხლე ხომ განუყოფელია; იქნებ ეს ლამაზი აკვნები სიკვდილის ტვირთს ამსუბუქებენ“...- ამბობს ავტორი. „ჩიტები, ანუ დამატებითი ცნობები ადამიანებზე“, -ასე ჰქვია ერთ თავს. თურმე ახალ ზელანდიაში ბინადრობს ჩიტი, რომელიც დაწყვილების პერიოდში სახლს იშენებს ჩვეულებრივი შესასვლელი კარით. დედა ჩიტს თაყვანს სცემს და პაემანზე ნისკარტში ყვავილგაჩრილი მიდის... **„არ არსებობს ადამიანისთვის უფრო დიდი, აუცილებელი და ამაღლებული, ვიდრე ბუნების გაგების, მისი ახსნის, მასთან საუბრის მუდმივი მცდელობა.“**

„სვანეთის ნისლი“, „ორიოდ სიტყვა ფლობერის „სალამბოზე“, „სმოკტუნოვსკის „პაუზა“. „ცოტა რამ მხატვრობის შესახებ“, „ბოტეროს „მსუქნები“, „ფილმი მიროზე“... ეს არასრული სიაა წიგნის შინაარსისა, რომელიც მრავალ საინტერესო შთაბეჭდილებას და მოგონებას გვიცოცხლებს. წიგნში წაიკითხავთ „მოგზაურობას საიქიოში“, „ამურები ურეთი და ნამგლით ხელში“, „მეორედ ლას-ვეგასში“...

ეს წიგნი საბნელის მძვინვარების საწინააღმდეგო კრებულია, რომელიც დღევანდელობას დაკარგული სიყვარულის დაბრუნებას ურჩევს.

ნატა ნიბლაძე

◎ ჩვენი კარაბადინი

ყველას სურს, ხანდაზმულ ასაკში შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და კარგი განწყობილება. ჩვენმა სტუმარმა ეს შეძლო!

გაიცანით: ვლადიმირ გიორგის ძე შიშკინი. თავის 77 წლის ასაკში ვლადიმირ გიორგის ძე სპორტულ იარაღებზე ასრულებს ვადიანი სამსახურის ჯარისკაცის ნორმატივებს, მკლავებზე იწევს 30-ჯერ. და კიდევ, ჩვენი სტუმარი ავტორია წიგნისა „დღეგრძელობის მუღამები“, რომელშიც გვიზიარებს თავის რჩევებს.

დღეს ვ.შაშკინმა გადაწყვიტა, გვიამბოს უძილობასთან ბრძოლის თავის „საფირმო ხერხებზე, იმაზე, თუ როგორ გვძინავს, ხომ დიდადაა დამოკიდებული ჩვენი განწყობილება.



სიზმრად და ცხადად

როგორ გავუმკლავდეთ უძილობას

ვაწესრიგებთ რეჟიმს

მუდმივად რომ ფორმაში ვიყოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს შევარჩიოთ ჩვენი ორგანიზმის დღის რეჟიმი, მოვიწესრიგოთ სადღეღამისო ბიორიტმები. „აწეწილ-დაწეწილი“და ღამის მუშაობის რეჟიმის დროსაც კი შეიძლება შევარჩიოთ ეგრეთ წოდებული საყრდენი წერტილები, რომლებიც დაგვეხმარებიან შევეჩვიოთ, შევეხამოთ არახელსაყრელ პირობებსაც კი. ჯანსაღი დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა — ადრე ადგომა და ადრე წასვლა დასაძინებლად. ეს საკუთარი გამოცდილებით გავიგე, ახლა კი მინდა გავუზიარო თქვენი გაზეთის მკითხველებს ჩემი ჯანსაღი ცხოვრების წესები.

მაღვიძარას სიგნალზე ვიღვიძებ დილის 5.55 საათზე და შემდეგ საწოლში წოლის დროს, ორი წუთის განმავლობაში ვაწარმოებ სუნთქვით ვარჯიშებს, ვიცვამ ამინდის შესაბამისად, ფეხით ჩავდივარ კიბეზე და სირბილით მივდივარ სკოლის სპორტულ ქალაქში. ჩემი დილის ვარჯიშის ხანგრძლივობა 25-30 წუთია, ამ დროის განმავლობაში ვცდილობ, გავხურდე და ოფლი მოვიდინო. ვარჯიშის შემდეგ — საკონტროლო შხაპია. ვარჯიშსა და პროცედურებზე მიდის 45-50 წუთი.

როდესაც საწერ მაგიდასთან დიდხანს მიწევს მუშაობა, ვცდილობ დავიცვა ასეთი რეჟიმი: 50 წუთი მაგიდასთან მუშაობა ჯდომით და 10 წუთი —შესვენება, რომლის დროსაც აუცილებლად უნდა ადგე, იმოძრაო, დაიჭიმო. თუ არის შესაძლებლობა, მუშაობის შემდეგ აუცილებლად ვცდილობ, გავიარო ქუჩაში. ზომიერი სიარული გიბრუნებს სულიერ წონასწორობას, გიხსნის ნერვულ დაძაბულობას და ორგანიზმს კარგად „გვინიავებს“.

დროს 20-დან 22 საათამდე ვიტოვებ საოჯახო საქმეებისთვის და „შემსუბუქებული“ ლიტერატურის კითხვისთვის. ტელევიზორს ცოტას ვუყურებ, უბრალოდ, ძილის წინ არ მინდა განწყობილების გაფუჭება. თუ დღე ნამდვილად დაძაბული იყო, ძილის წინ კვლავ ვსეირნობ 20-30 წუთით. ვცდილობ, დავიძინო 22 საათზე.

მარტივი წესები

გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, უძილობისთვის თავის გართმევა სულაც არაა ძნელი, საჭიროა მხოლოდ, რომ დავიცვათ რამდენიმე მარტივი წესი:

● უნდა ავდგეთ მკაცრად განსაზღვრულ დროს. ეს მარტივი წესი წინააღმდეგობას უწევს „ბუს სინდრომის“ განვითარებას, რომელიც შეიძლება უძილობის მიზეზი გახდეს. მათთვის, ვისაც დარღვეული აქვს ძილი, ეს მყარი წესია.

● საწოლში მხოლოდ უნდა გვეძინოს. საწოლი უნდა გამოვიყენოთ პირდაპირი დანიშნულებით და არაა საჭირო ვაქციოთ იგი კითხვის, დისკუსიების, მძიმე განსჯების ადგილად.

● შევიქმნათ შინაგანი რიტუალი. ჩვეულებრივი მოქმედებები, რომლებსაც ვასრულებთ ძილის წინ, გვეხმარება განვაწყოთ ორგანიზმი ღამის დასვენებისთვის. და მაშინ ძილი, ალბათ, მოვა სწრაფად. საღამოს „განწყობილების“ ერთ-ერთი ვარიანტია: გავანიავოთ ოთახი, გავიწმინდოთ კბილები, დავიბანოთ პირი, შევამოწმოთ მაღვიძარა, გამოვრთოთ ტელეფონი და დავწვეთ. როდესაც ჰორიზონტალურ მდგომარეობას იღებთ, თქვენი ქვეცნობიერება ამას აღიქვამს, როგორც სიგნალს, რომ დროა დაიძინოთ. ამიტომ არ ღირს საწოლში კითხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეწევით რისკს გადაეყაროთ ღამის კოშმარებს ან გადადოთ დაძინების პროცესი.

● უარი ვთქვათ დღისით ძილზე. თუ საღილის შემდეგ დაიძინეთ, საღამოს დაძინება გაგიჭირდებათ. ამიტომ საღილის შემდეგ უმჯობესია ფეხით გაისეირნოთ.

● ნუ ვინერვიულებთ, თუ ვერ დავიძინებთ. უნდა ავწვეთ ზურგზე და მთლიანად მოვადუნოთ სხეულის კუნთები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სახის კუნთებს და რამდენჯერმე ნელა და დუნედ გონებაში გავიმეოროთ ფრაზა: „ჩემი კუნთები მთლად მოდუნებულია, ჩემი სხეული ისვენებს, არაფერი მაღელვებს“. აუცილებელია შევეცადოთ, მოვდუნდეთ, ძილი კი მოვა უნებლიეთ, თავისთავად.

● დავითვალოთ ინგლისურად. დაწექით ზურგზე, არ დაიფაროთ საბანი და ხეულისა და სახის ყველა კუნთის მთლიანი მოდუნების შემდეგ, დაიწყეთ ნელა სუნთქვა, გონებაში შენელებულ ამოსუნთქვაზე ყოველთვის წარმოთქვით: one, two, three და ასე შემდეგ ორმოცდაათამდე და უკან. მალე აზრები ერთმანეთში აგებნევათ და იგრძნობთ მსუბუქ შეციებას, რადგან სხაულის ტემპერატურამ ოდნავ დაიწია. ამის შემდეგ გადაბრუნდით გვერდზე და დაიფარეთ საბანი. გათბებით, მოეშვებით და ნელ-ნელა მიეცემით ძილს. ვგრძნობ შეკითხვას: რატომაა აუცილებელი ინგლისურად ან სხვა უცხო ენაზე დათვლა? შენელებული ამოსუნთქვების დათვლა არამშობლიურ ენაზე ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მშობლიურზე. ასე როდესაც ვითვლით, თითქოს ვთიშავთ ხანგრძლივი მეხსიერების არხს და ვთავისუფლდებით მომაბეზრებელი აზრებისგან, რომლებიც დაძინებაში გვიშლიან ხელს.

● გამოვთიშოთ აზრები. ბევრი ჩვენგანი, როდესაც ლოგინში წვება, იწყებს განვლილი დღის შედეგების შეჯამებას და თვითკრიტიკას. არის მეორე მარტივი ხერხი —გავარჩიოთ „დღის გაფრენები“ და დავიმშვიდოთ ჩვენი ფსიქიკა. დაძინებამდე ერთი საათით ადრე ჩავიცვათ ამინდის შესაბამისად და ზომიერი ტემპით გავისეირნოთ20-30 წუთით. ამ დროის განმავლობაში მოასწრებთ ანალიზი გაუკეთოთ დღის მოვლენებს და განეწყოთ ლირიკულ ყაიდაზე. სახლიდან გამოსვლის წინ არ დაივიწყოთ საძინებელში ფანჯრის გამოღება.

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ადმინისტრაცია თანაუგრძნობს თანამშრომელს მანანა გაფრინდაშვილს მამის

ოთარ გაფრინდაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ კრიმინალი

ვინ დაესხა თავს ყულუების ოჯახს?

სამართალდამცველებისთვის ხობის რაიონში ყულუების ოჯახზე ერთ-ერთი თავდამსხმელის ვინაობა ცნობილია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

ხობის რაიონში, სოფელ მეორე გურიფულში ყულუების ოჯახი დააყაჩაღეს. დაზარალებულების თქმით, მათ ოჯახში ორი ნიღბიანი შეიარაღებული პირი ორშაბათ ღამით შეიჭრა და ოჯახის წევრებისაგან ფული და ძვირფასეულობა მოითხოვა. მათ საწოლზე მიაბეს 83 წლის ოჯახის უფროსი, მისი მეუღლე და მათი მომვლელი.

სახლიდან წაღებულია 4500 ლარი და ოქროულობა.

მკვლელობა ბინდში

შსს შინდისში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1990 წელს დაბადებული ელგუჯა გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 23 სექტემბერს, საღამოს, გორის რაიონის სოფელ შინდისში, შურისძიების ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას თანასოფლელს, 1976 წელს დაბადებულ მალხაზ მთვარაძეს დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემოთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიების ინფორმაციით, გარდაცვლილი წარსულში ყაჩაღობისა და მკვლელობისთვის იყო ნასამართლევი.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ინტერპრესი

◎ ინფორმაცია

377 დეკორატიული ფრინველი „სადასლოზე“ არაკანონიერად შემოჰყავდათ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა „სადასლოს“ საბაჟო-გამშვები პუნქტის უფროსი კახაბერ მუსერიძე დააკავეს.

როგორც საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ამავე საბაჟო-გამშვები პუნქტის ცვლის უფროსი კახა არჩვაძე.

— გამოძიებით დადგინდა, რომ 2013 წლის 21 სექტემბერს, საბაჟო-გამშვები პუნქტი „სადასლოს“ უფროსის, კახაბერ მუსერიძის დავალებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, ერთ-ერთი მეწარმისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, ამავე საბაჟო-გამშვები პუნქტის ცვლის უფროსმა კახა არჩვაძემ, კანონით გათვალისწინებული საბაჟო შემოწმებისა და კონტროლის გვერდის ავლით, შესაბამისი საბაჟო და ვეტერინარული დოკუმენტაციის გარეშე, საქართველოში შემოუშვა მეწარმის კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც დატვირთული იყო 10 103 ლარის ღირებულების, სარეალიზაციოდ გამზადებული 377 ცალი სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული ფრინველით, — აღნიშნულია განცხადებაში.

ჩადენილი დანაშაული სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაიჯესტი

ავიაგამანადგურებლები სანტა-კლაუსისთვის

კანადის ხელისუფალთა განმარტებით, სანტა-კლაუსს ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყნის მოქალაქეობა აქვს, ამიტომ დედამიწაზე საახალწლო მოგზაურობის დროს მას თავისუფლად შეუძლია ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა.

ასე იყო 2013 წლის დამდეგსაც, როცა კანადის თავდაცვის სამინისტრომ ქვეყანაში სანტა-კლაუსის მოგზაურობის დროს მას... ოთხი საბრძოლო ავიაგამანადგურებელი გამოუყო! თავდაპირველად, როცა სანტა-კლაუსის ირმებშებმული მარხილი ჩრდილოეთ პოლუსიდან კანადის საზღვარს მიუახლოვდა, ჰაერში ორი F-18 საბრძოლო ავიაგამანადგურებელი აფრიდა, რომლებიც შუა გზაში მეორე წყვილმა შეცვალა. ამის მიზეზი კი სანტა-კლაუსის სიმშვიდესა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა იყო, რომელსაც ბავშვებისთვის საჩუქრები უნდა დაერიგებინა. სანტა-კლაუსის დატვირთული მარხილის გადაადგილებას კი (გავრცელებული ცნობით იგი მთელ 60 ტონას იწონიდა!) თვალყურს ადევნებდნენ რადარები და გეოსტაციონარულ ორბიტაზე გაშვებული ინფრაწითელსხივებიანი გადამცემები. პატარებს სანტას გადაადგილებაზე თვალის გადევნება ჩრდილოეთ ამერიკის აეროკოსმოსური თავდაცვის გაერთიანებულ საიტზე შეეძლოთ (NORAD) , ანდა მორიგესთვის შტაბ-ბინაში დაერეკათ. შარშან ამ დროს აქ 100 ათასზე მეტი სატელეფონო ზარი და 7 ათასზე მეტი ელექტრონული წერილი მიიღეს.

სხვათა შორის საინტერესოა, რომ ეს ტრადიცია ერთობ მოულოდნელად წარმოიშვა. გასული საუკუნის 50-იან წლებში ერთმა ამერიკულმა გაზეთმა სანტა-კლაუსის ტელეფონის ნომერი დაბეჭდა, მაგრამ კორექტურული შეცდომის გამო ბავშვები... ამერიკის შეერთებული შტატების კონტინენტური ნაწილის საჰაერო თავდაცვის ოპერატიული სამმართველოს უფროსთან ხვდებოდნენ, რომელიც NORAD-ის წინამორბედი იყო. სამხედროებმა კურიოზი დააფასეს და მას შემდეგ მოყოლებული, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ყოველთვის აცნობებენ დიდსა თუ პატარას ჯადოსნური სანტა-კლაუსის გადაადგილებების შესახებ.

დამწვრობისგან თავის დასაცავად

მარკეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის იტალიელ და ესპანელ მეცნიერთა ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მარწყვის ექსტრაქტი მზის გამოსხივებისა და დამწვრობებისგან იცავს, ხოლო თუკი დამწვრობა უკვე მიღებულია, მის მოშუშებას უწყობს ხელს.

ეს დასკვნა მეცნიერებმა ხელოვნური კანის უჯრედებზე დაყენებული ცდების შედეგად გამოიტანეს, რომლებიც ულტრა-

იისფერი სხივებით დაასხივეს, რომლის ინტენსივობა იმის ეკვივალენტური იყო, რომელსაც კაცი პლაჟზე საათნახევრის შემდეგ იღებს. მერე კანი მარწყვის ექსტრაქტით დაამუშავეს და აღმოჩნდა, რომ იგი უჯრედების დაცვითი ძალების მობილიზებას ახდენს, რითაც ანთებისგან იცავს.

მარწყვის სამკურნალო ძალა წითელ პიგმენტებში, ანტოციანებშია, რომლებიც ანტიანთებით ეფექტს აძლიერებენ. ახლა ექსპერტებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ რა სახით უნდა მიიღოს მომხმარებელმა მარწყვის ექსტრაქტი — იგი საცხის სახით იხმარონ, თუ მიირთვან.

გელოდებით, მობრძანდით!

სასწავლებლად

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯთან არსებული ტრენინგ ცენტრი აცხადებს

მე-9, მე-10, მე-12 კლასის მოსწავლეთა, საშუალო განათლების მქონეთა და სტუდენტთა მიღებას შემდეგ კურსებზე:

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის — 3 და 6-თვიანი, თვეში 200 ლარის გადახდით;
ბანკის მოლარე-ოპერატორი — 2-თვიანი, თვეში 100 ლარის გადახდით;
კომპიუტერული პროგრამების სწავლების — 2 და 4-თვიანი, თვეში 60 ლარის გადახდით;
ინგლისური ენის სწავლების — 6-თვიანი, თვეში 80 ლარის გადახდით;
მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლის — 6-თვიანი, თვეში 120 ლარის გადახდით.

მსურველმა ტრენინგ ცენტრში უნდა წარმოადგინოს: განცხადება ტრენინგ-ცენტრის უფროსის სახელზე, პირადობის მომწობის ასლი, ცნობა განათლების შესახებ, თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრიდან, 10-დან 16 საათამდე.

სწავლა დაიწყება 15 ოქტომბრიდან.

კურსდამთავრებულები მიიღებენ ორენოვან სერტიფიკატებს.

საკონტაქტო მისამართი და ტელეფონი:
ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 45, VI სართული.
ტელეფონი 231-18-50; 231-14-75; 598 189-987(მობ.).

კოორდინატორი ანა კუჭუხიძე

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონ-ვაზელეპთან

პირველი მზის ელექტროსადგური საგარეჯოში აშენდება

საგარეჯოში მზის ელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება. ამჟამად, ენერგეტიკის სამინისტროსთან მუშავდება მემორანდუმი, რომლის მიხედვით 100 მეგავატი მზის ელექტროსადგური საგარეჯოს რაიონში 220 კვ-იან გადამცემ ხაზთან — „მანავი“ — უნდა აშენდეს. ელექტროსადგურს ერთ-ერთი ქართული კომპანია აზერბაიჯანული ინვესტიციით აშენებს. პროექტის ღირებულება 200 მილიონი დოლარია. ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება წლის ბოლომდე იგეგმება და 8-9 თვეში უკვე ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს.

„რეზონანსი“

„საქართველოს ყოველდღე 200 მეტრ მიწას აჭრიან“

დვანში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს პრეზიდენტობის კანდიდატი სერგო ჯავახაძე. ის ხელისუფლებას უუნარობაში სდებს ბრალს.

— საქართველოს ყოველდღიურად 200 მეტრ მიწას აჭრიან, საოკუპაციო ძალების მიერ საზღვრის გადაწევის პროცესი გრძელდება და სოფელ დვანში სამუშაოები კვლავ განახლდა. ამის ფონზე ნაციონალური მოძრაობა და ოცნება კოჰაბიტაციურ ცირკს აგრძელებს. მმართველი და მთავარი ოპოზიციური ძალა წინასაარჩევნოდ ქულების დაწერის მიზნით შექმნილ ვითარებას ერთმანეთს აბრალებს და პრობლემის აღმოსაფხვრელად ნაბიჯს არ დგამს.

„ახალი თაობა“

რა შუაშია ივანიშვილი თხილის გაიაფებასთან?

სამეგრელოს გუბერნატორის თენგიზ გუნავას ინფორმაციით, პრემიერის გარემოცვა თხილის ფასის ხელოვნურად დაწევას უწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით გუნავა განცხადებას ავრცელებს და ხელისუფლებას მოუწოდებს, მიიღოს გადამჭრელი ზომები ადგილობრივ ბიზნესში ჩარევის აღმოსაფხვრელად. კახა მიქაია ვარაუდობს, თავად გუნავას უნდა წინასაარჩევნოდ მეგრელების გაღიზიანება, აი, ივანიშვილმა ბრძანა, თხილის ფასი დაუწიეთო!.. პოლიტიკურ პიარს ჰგავს ეს ამბავი და მეტს არაფერს!

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

— **ეძიმო, რამდენი წელიწადი შეიძლება იცხოვროს ადამიანმა უტვინოდ?**
— **რამდენი წლისა ხართ?**

* * *

— **მაინცდამაინც დერმატოლოგობა რატომ აირჩიე პროფესიად?** — ეკითხება კანის ექიმს ტიპი.
— **სამი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, პაციენტები ღამ-ღამობით არ მაღვიძებენ. მეორე, ისინი თავიანთი ავადმყოფობით არ კვდებიან. და მესამე, ისინი არასოდეს არ გამოჯანმრთელდებიან.**

* * *

„ღმერთო ჩემო, სად იყავი აქამდე!“ საოცრად სასიამოვნოა, როდესაც ამას ქალი გეტყვის, მაგრამ თუ ამას გეტყვის ქალი, ოღონდ ექიმი...

— **ეძიმო, როდესაც თავზე ვდგები, სისხლი თავში მირტყამს. მაგრამ როდესაც ფეხზე ვდგები, სისხლი ფეხებში არ მეტაკება ხოლმე. რატომ?**
— **ფეხებში სიცარიელე არ არის.**

* * *

— **დედი, რა არის სკლეროზი?**
— **რა მკითხე, შვილო?**
— **როდის?**

* * *

— **თქვენი განსვენებული მეუღლე, ალბათ, კარგი მონადირე იყო, არა?** — ეკითხებიან დიასახლისს სტუმრები, რომლებიც ინტერესით ათვალიერებენ სასტუმრო ოთახში გამოფენილ სხვადასხვა მხეცის თავებს.
— **არა,** — უპასუხებს ქალი, — **იგი ცუდი ვეტექიმი იყო.**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24